სპორტი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 ივლისი 2004 №165 (2186) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდკაცური ჯილდო პატარკაციშვილისგან

4

გუშინ საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა და ათენის ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ბადრი პატარკაციშვილმა ათენის ქართველი ჩემპიონის ჯილდოდ **400 000** ლარი დააწესა

ჯიბე და ბალახი

რეგიონალლიგელი ზესტაფონი უმაღლეს ლიგაში, უმაღლესლიგელი სამგურალი რეგიონალლიგაში

პროფლიგა: ვისაც ბალახი მოედანზე კი არა, ჯიბეში ამოგსვლიათ, ნუ შეგვაწუხებთ!

დღეიდან უმაღლეს ლიგაში თამაშის მოსურნე გუნდები პროფლიგაში განაცხადს შეიტანენ, ხოლო ხვალ საღამოს პროფლიგა საბოლოოდ იტყვის, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში...

დღეისთვის პროფლიგის მოთხოვნებს თორმეტიდან მხოლოდ ათი გუნდი აკმაყოფილებს — ეს რაც შეეხება სტადიონებს, ხოლო 300 000 ლარის გარანტიებს პროფლიგა დღეს და ხვალ შეუმოწმებს გუნდებს...

დღეისთვის გადაწყვეტილი მხოლოდ ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში წყალტუბოს „სამგურალის“ ნაცვლად ზესტაფონელები ითამაშებენ და ქართული გუნდებიდან უცხოელი მწვრთნელიც მხოლოდ მათ ეყოლებათ — ვლადიმირ ზემლიანოი...

დღეიდან პირველი ლიგის რომელიმე შეძლებულ გუნდს რეალური შანსი უჩნდება, რომ უმაღლეს ლიგაში უფულო კლუბის გამონთავისუფლებული ადგილი დაიკავოს...

პროფესიული ლიგის ხვალინდელი გეგმა

10 ან 11+1

ალექს ჯორჯაძე ოფლი

წინასწარი გეგმის მიხედვით, საქართველოს მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა თორმეტგუნდიანი უნდა იყოს და 24 ივლისს უნდა დაიწყოს. თუმცა რა როგორ იქნება, ჯერაც გაურკვეველია. თუ თორმეტივე გუნდმა პროფესიული ლიგის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, ვინძლო უმაღლეს ლიგაში რაღაცრაღაცები შეიცვალოს. პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე სიტუაციას განმარტავს და ჩვენს კითხვებს პასუხობს

— თქვენ ახლახან უმაღლესი ლიგის გუნდების სტადიონების მოსანახულებლად ბრძანდებოდით — რა ვითარებაა ამ დროისთვის?

— „რუსთავის“ და „ქობულეთის“ გარდა ამ მხრივ სხვა გუნდებში ნორმალური მდგომარეობაა. მცირე პრობლემები აქვს „ზესტაფონის“ სტადიონს, სადაც გასახდელებია სარემონტო, მაგრამ ეს ალბათ ჩემპიონატის დაწყებამდე მოგვარდება, თუ არა და, ზესტაფონელები პირველ საშინაო მატჩს სხვა მინდორზე გამართავენ.

— გადაწყვეტილია, რომ წყალტუბოს „სამგურალის“ მაგივრად უმაღლეს ლიგაში „ზესტაფონი“ ითამაშებს?

— დიახ, ეს გადაწყვეტილია. „სამგურალი“ კი რეგიონულ ლიგაში ითამაშებს.

— ფორმალურად რა შეთანხმების საფუძველზე მოხდა ეს?

— ურთიერთდახმარების საფუძველზე მოხდა ამ ორი გუნდის გაერთიანება და ამ გაერთიანების უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდს „ზესტაფონი“ ერქმევა, ხოლო რეგიონულ ლიგაში „სამგურალი“.

— ჩემპიონატის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის გუნდს ანგარიშზე მინიმუმ 300 000 ლარი უნდა ჰქონდეს — პროფლიგის ამ მოთხოვნას რამდენი გუნდი აკმაყოფილებს?

— უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის კლუბები განაცხადს ახლა შემოიტანენ და ამას სამასათასლარიანი გარანტია თან უნდა ერთვოდეს. ჩვენ სამასათასიან ანგარიშს აუცილებლად შევამოწმებთ. განაცხადების მიღება ოთხშაბათს, 21 ივლისს ღამავრდება და ამ დღესვე მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში.

— თუ რომელიმე გუნდმა ვერ დააკმაყოფილა პროფლიგის მოთხოვნები, მის ადგილს პირველი ლიგის რომელიმე გუნდს დაუთმობთ?

— საბოლოო პასუხი ყველაფერზე 21 ივლისის საღამოს გვეცოდინება. არ არის გამორიცხული, რომ ათგუნდიან უმაღლეს ლიგაზე გადავიდეთ. თუ პროფლიგის მოთხოვნები თერთმეტმა გუნდმა დააკმაყოფილა, შესაძლოა, პირველი ლიგიდან რომელიმე გუნდი დავიმატოთ, მაგრამ, ვიმეორებ, თუ ჩვენს მოთხოვნებს ათი გუნდი დაკმაყოფილებს, უმაღლეს ლიგაში ათ გუნდს დავტოვებთ — ასეთია პროფლიგის გეგმა.

დავით თავართქილაძე

ვის რას ურევს იაშვილი?

ბადრი ჯულელიძის ფოტო

თბილისის „დინამოდან“ წასულმა 19 წლის ფორვარდმა სანდრო იაშვილმა გუშინ სამარის „კრილია სოვეტოვში“ ორჯერ ივარჯიშა და, როგორც ჩვენმა რუსმა კოლეგებმა გვითხრეს, გუნდის მწვრთნელ გაჯი გაჯიევზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

სანდრო დღეს და ხვალ ისევ გუნდთან ერთად იქნება და კვირის ბოლომდე „კრილიას“ უფროსობის საბოლოო პასუხს დაელოდება. ის ან იქვე დარჩება და რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებს, ანაც ისევ თბილისის „დინამოში“ დაბრუნდება, სადაც კონტრაქტით ორი წელი კიდევ აქვს სათამაშო.

ჩვენ კი სანდრო იაშვილს გუშინ დავუკავშირდით და პირველი სამარული ინტერვიუ ვთხოვეთ.

დინამოდან წამოსვლას არ ველოდი

— „კრილია სოვეტოვში“ ჩემი აგენტის, მამუკა ჯუღელის დახმარებით აღმოვჩნდი, სამარაში მან წამომიყვანა. ვიცოდი, რომ „კრილია“ დაინტერესებული იყო ჩემი გადაბირებით, მაგრამ „დინამოს“ დატოვება ახლა თუ მომიხდებოდა, ამას ნამდვილად არ ველოდი.

— „კრილიას“ დაინტერესების ამბავი „დინამოს“ ბელარუსში წასვლამდე იცოდი, მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კი ბორისოვში საერთოდ არ წაგიყვანა. ხომ არ ფიქრობ, რომ შენი თბილისში დატოვება და „კრილიას“ ინტერესი ერთმანეთიდან გამომდინარეა?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. მეც მიკვირს, ბორისოვში „დინამომ“ რატომ არ წამიყვანა. მგონი, ღირსი ვიყავი, რომ ოცკაციან შემადგენლობაში მეც ვყოფილიყავი, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— თურმე ამრევი ვყოფილვარ.

— ეს არავის უთქვამს...

— არ უთქვამს, მაგრამ ფაქტია, რომ „დინამოს“ მწვრთნელმა ბატესთან სათამაშოდ არ წამიყვანა. ესე იგი, არ ვჭირდებოდი.

— ნაწყენი ხარ?

— დიახ, ნაწყენი ვარ.

— „დინამო“ რომ ბორისოვიდან ჩამოვიდა, მწვრთნელს თუ ესაუბრე?

— არა, არავისთან მილაპარაკია. გეგუჩაძე არ მინახავს.

— აბა, სამარაში „დინამოს“ ხელმძღვანელთა უკითხავად წახვედი?

— უფროსობას კი ველაპარაკე, მაგრამ მწვრთნელს არა.

— რაო, მერე, რა გითხრეს?

— წადი სამარაში, პრობლემა არ არისო. ავდექი და წამოვედი.

— „კრილიას“ მწვრთნელს უკვე ესაუბრე?

— დიახ, დღეს დილით ვისაუბრეთ და ვარჯიშებზე ჩემთვის ყურადღება არ დაუკლია. საუბრით კი ზოგადად, ფეხბურთზე ვისაუბრეთ, ჩემს სავარაუდო ტრანსფერზე არაფერი უთქვამს. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვივარჯიშებ და იმედი მაქვს, გაჯიევიც კმაყოფილი დარჩება.

— ფეხბურთელებმა როგორ მიგიღეს?

— ძალიან კარგად, თბილად, ჩემდამი მათი პატივისცემა უკვე ვიგრძენი. კარგი ბიჭები არიან, თავისი საქმეც კარგად იციან. ანდრეი ტიხონოვი გავიცანი, შემაგულიანა, წარმატება მისურვა. ის „კრილიაში“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საერთოდ კი, „კრილია“ შეკრული გუნდია, ბიჭები ძალიან მონდომებულები ჩანან, პრემიერლიგაშიც მეოთხე ადგილზე არიან.

— საბოლოო პასუხს „კრილია“ როდის გეტყვის?

— ორ-სამ დღეში გაირკვევა, დავრჩები თუ არა სამარაში.

ძოგა ინასარიძე

კილასონია სიონს ტრიბუნიდან უყურებს

გუშინ ბოლნისში „სიონი“ თბილისის „ლოკომოტივს“ ამხანაგურად ეთამაშა და 0:3 დამარცხდა. პირველი გოლი ირაკლი ვაშაკიძემ თავურით გაიტანა, მიხეილ სოსელიამ პენალტით გაზარდა სტუმრების უპირატესობა, ზაზა მედოევმა კი შორეული დარტყმით დაუსვა შეხვედრას წერტილი.

„სიონს“ ფეხბურთელთა მიდი-მოდის გამო ძველი გვარდიიდან მხოლოდ აქვსენტი გილაური ჰყავდა. ახალ კლუბში ერთი ტაიმი ითამაშა გიორგი მანწკავამ. „სიონში“ რამდენიმე ექსრუსთაველმაც ითამაშა, ხოლო მატჩს ტრიბუნიდან „სიონის“ პოტენციური მწვრთნელი ვარლამ კილასონიაც ადევნებდა თვალს, ვინც წინა სეზონში „რუსთავს“ წვრთნიდა. როგორც კილასონიამ გვითხრა, ორ-სამ დღეში მისი საკითხიც საბოლოოდ გაირკვევა. გუშინდელ თამაშზე კი „სიონი“ გიორგი ყიფშიძემ გაიყვანა.

დავით მრაძე

გიორგი მანწკავა ვაგონიდან სადისციპლინო ბრალდებით ჩამოსვეს

თბილისის „ლოკომოტივს“ შემადგენლობა საბოლოოდ ჯერაც არ ჩამოუყალიბებია.

მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ „ლოკომოტივმა“ გიორგი მანწკავა დაითხოვა, ფეხბურთელმა დისციპლინა დაარღვიაო. ეს საყრდენი ნახევარმცველი „ლოკომოტივის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, თუმცა მას უგუნდოდ დარჩენა არ ემუქრება — ბოლნისის „სიონს“ მიაშურა.

„ლოკომოტივი“ ჯერაც ვერ გაურიგდა წინა სეზონში მის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელს ირაკლი ვაშაკიძეს. შესაძლოა, ამ მცველმა კარიერა უცხოეთში გაგრძელოს.

გუშინ დელენგაშვილის ფოტო

ფეხბურთი

ალსვენსკა. XII ტური

იორგრიტე 1:1 კალმარი

ამხანაგური მატჩი

ბაიერნი 0:1 მიუნხენ 1860

ტრელებორგი 1:6 ჰელსინგბორგი

ჰამარბი 3:0 იურგორდენი

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XII ტური

გრინდავიკი 1:1 აკრანესი

ჰაფნარფიორდური 1:0 ფილკირი

ადამია მოსკოვში მიდის და ვიტ ჯორჯიას ელაპარაკება

გოცირიძე კამაზშია და „სულ ჯახებისთვის“ ემზადება

რუსეთის ჩემპიონატის პირველი ლიგა 24 ივლისს განახლდება, მანამდე კი გუნდები სამზადისში არიან. გუშინ შევიტყვეთ, რომ ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზში“ კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩასული გიორგი ადამია გუნდს ტოვებს.

ადამია გუნდის მთავარ მწვრთნელს შეხვდა და ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, გიორგი „კამაზში“ არ ითამაშებს...

გიორგი ადამია და რევაზ გოცირიძე თანაგუნდელები ხელმეორედ აღარ იქნებიან

— სამწუხაროდ, მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა — გვითხრა *გიორგი ადამიამ*, როცა მას რუსეთში დავუკავშირდით — თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მწვრთნელსაც სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ შიდასაკლუბო პრობლემებიც მრავლად ყოფილა. კერძოდ, გუნდის საბანკო ანგარიშს რამდენიმე ხნით ყადაღა დაედო.

— ახლა რას იზამ, ვიტ ჯორჯიას დაუბრუნდები?

— ვნახოთ, მალე მოსკოვში ჩავფრინდები, იქ ჩემს მენეჯერს შევხვდები და როგორც ვიცი, უკრაინული კლუბის ვარიანტზეც გვექნება საუბარი.

— ვარიანტების ძიებას ხომ არ სჯობდა, თბილისში დაბრუნებულიყავი და „ვისლასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში გეთამაშა?

— გამორიცხული არაა, მართლაც დავბრუნდე თბილისში, ყოველ შემთხვევაში, „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასთან ვაპირებ დარეკვას. შესაძლოა, საერთო ენაც გამოვნახოთ.

ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის“ ქართველ ფორვარდს *რევაზ გოცირიძეს* კლუბში უთვისტომოდ დარჩენა მოუწევს, რამაც ის ძალზე გაანწყენა...

— ადამიას წამოსვლამ, ალბათ ძალიან გაგანწყენა?

— მიხაროდა ორი ქართველი, თანაც შეთამაშებული ფეხბურთელები ერთად ვიქნებით-მეთქი, მაგრამ გაეწყობა...

— სხვა მხრივ შენი საქმეები როგორ მიდის?

— კმაყოფილი ვარ. მწვრთნელმა მითხრა, რომ ჩემი იმედი აქვს, შენ უმაღლესი ლიგისთვის გიყიდეთო. უახლოეს მატჩში ალბათ ძირითადშიც დამაყენებს. ვატყობ, რომ აქაურობას ალღო ავუღე, შევთამაშდი გუნდთან და წარმატებით თამაში არ გამიჭირდება. თუმც ნურავინ იფიქრებს, რომ რუსულ პირველ ლიგაში სეირნობით რამეს მიაღწევ. ის ფეხბურთელები, ვისაც რუსეთის უმაღლეს ლიგაშიც უთამაშია, ამბობენ, რომ აქ თამაში გაცილებით რთულია. სულ ჯახებია, აქცენტი უმთავრესად ფიზიკურ გამძლეობაზე კეთდება.

დავით ერაძე

ტორპედო ჩემი სიყვარული

უფროს-უმცროსი მეგრელაძეების ამბავი

საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღეა დარჩა. გაჭირვებულ ქუთაისის „ტორპედოს“ სატრანსფერო ბაზარზე მაინცდამაინც დიდად არ უაქტიურია, რიონისპირელებს მხოლოდ ორი ახალწვეული, ვლადიმერ კაკაშვილი და გია მეგრელაძე ჰყავთ. თუმც ვერავინ იტყვის, რომ მეგრელაძე ქუთაისში ახალი სახეა, 25 წლის თავდამსხმელი მშობლიურ გუნდს ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა...

— ქუთაისიდან 2000 წელს წავედი გერმანიაში. თავიდან მეორე ბუნდესლიგის „ონაბრიუკში“ ვიყავი ოთხი თვე, მაგრამ აქედან საუთები დროულად არ ჩამომივიდა და კლუბში ვერ დავრჩი. შემდეგ უფრო რეალური შანსი გამიჩნდა — „დრეზდენთან“ უნდა გამეფორმებინა კონტრაქტი, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო მომენტში აღმოჩნდა, რომ გუნდის მეოთხე ლეგიონერი ვიქნებოდი, რაც არ შეიძლებოდა. შემომთავაზეს, ექვსი თვე დავლოდებოდი და არგენტინელ ფეხბურთელს გაყიდიდნენ, მაგრამ ცოლ-შვილით ამდენს ვერ დავიცდიდი და საბერძნეთში წავედი.

— საბერძნეთში რამდენ ხანს თამაშობდი?

— ორ წელიწადზე მეტი ვიყავი იქ, მეორე ლიგის „ლიკში“ ვთამაშობდი. მქონდა შანსი, უმაღლეს ლიგაშიც მეთამაშა — „იანინა“ და „ირაკლისი“ მაკვირდებოდნენ, მაგრამ ერთ-ერთი თამაშის დროს კუნთი გამიწყდა და... საბერძნეთში დაბალ დივიზიონში თამაშს რუსეთის პირველ ლიგაში თამაში ვამჯობინე და შარშან სექტემბერში „ნეფტეხიმიკში“ გადავედი....

— ამ გუნდში როგორღა აღმოჩნდი?

— რეკომენდაცია თამაზ კიკლიაშვილმა გამიწია, რომელსაც იქ უთამაშია, თანაც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ქუთაისელია, გვარად კუბლაშვილი. „ნეფტეხიმიკთან“ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გავაფორმე.

— და რატომ წამოხვედი, კონტრაქტის ვადა ხომ არ ამოწურულა?

— გუნდში ფინანსური სიტუაცია აირია და ურთიერთშეთანხმებით კონტრაქტი გავწყვიტე.

— „ტორპედო“ როდის დაგიკავშირდა და კონტრაქტი თუ გააფორმე?

— რუსეთიდან ჩამოსული წყალტუბოს „სამგურალთან“ ერთად ვვარჯიშობდი. მერე კი „ტორპედოში“ გადასვლა შემომთავაზეს. სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგრამ სახლში ყოფნა და ჩემს საყვარელ გუნდში თამაში ვამჯობინე. კონტრაქტს მალე გავაფორმებ.

— დღევანდელ „ტორპედოზე“ რას იტყვი?

— ადრე უფრო კარგი გუნდი იყო და პირობებიც უკეთესი ჰქონდა. ახლა „ტორპედო“ ახალგაზრდული გუნდია და იმედი მაქვს, ნორმალურად ვითამაშებთ.

— პირადად შენ რა გეგმები გაქვს?

— ერთი სული მაქვს, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ „ტორპედოს“ სტადიონზე ვითამაშო. მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას. ფორმაში მალე შევალ და ვეცდები, ბევრი გოლი გავიტანო. ცხადია, ბომბარდირობაზეც არ ვიტყვი უარს.

— მამაშენი, მერაბ მეგრელაძე რას საქმიანობს?

— საქართველოში სამსახური ვერ მოძებნა. ახლა მოსკოვშია და იქაური მეგობრების დახმარებით ალბათ მწვრთნელობას დაიწყებს, ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი აქვს.

გია ამირანაშვილი

ქუთაისიდან

ყაველაშვილმა რუსეთი დააესკიზა

ევროპამოვლილი მიხეილ ყაველაშვილი შაბათს რუსულ პრემიერლიგას დაუბრუნდა. მოსკოვში, „დინამოსთან“ წაგებულ მატჩში ვლადიკავკაზის „ალანიას“ ახლადშეძენილმა ქართველმა ფორვარდმა ბოლო ნახევარი საათი ითამაშა, თუმც მისმა მონდომებამ ოსებს მაინც ვერ უშველა და მოსკოვიდან ხელცარიელები წავიდნენ.

რას ფიქრობს რუსეთის ჩემპიონატზე „ალანიადან“ ცხრა წლის წინ აბარგებული და გუნდში ახლა დაბრუნებული ყაველაშვილი? რა დონისაა რუსული პრემიერლიგა? დიდი ფულის მიუხედავად, ჯერ რატომ ვერ უტოლდება ევროპისას რუსული ფეხბურთი?

მიხეილ ყაველაშვილს გუშინ დავუკავშირდით და ამ კითხვებზე პასუხი ვთხოვეთ...

— ცხრა წლის წინანდელ და ახლანდელ რუსეთის ჩემპიონატს შორის ისეთი სხვაობაც არაა, კაცი გაკვირვებული დარჩე. რა თქმა უნდა, რუსულ ფეხბურთში პროგრესი იგრძნობა, მაგრამ ესენიც წინ ნელ-ნელა მიდიან. ის გუნდები, რომლებიც უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად თამაშობენ, ევროპელებისგან ბევრს სწავლობენ და ცოდნას კარგად იყენებენ. მათ აშკარად ეტყობათ, რომ დანარჩენ გუნდებზე უკეთ მომზადებულნი არიან, გინდ წმინდა სპორტული თვალსაზრისით, გინდ საკლუბო ინფრასტრუქტურით. აი, მაგალითად, „რუბინი“, „ამკარი“, „შინიკი“ და სხვა გუნდები თითქმის ერთ დონეზე არიან, ისინი გამოუცდელები არიან, თუმც, რაც მთავარია, ცდილობენ, რომ შეცდომები გამოასწორონ.

— ცეესკამ და მოსკოვის „დინამომ“ უცხოელ მწვრთნელებს ბევრიც აღარ აცალეს, მალე დაითხოვეს და გუნდები ისევ ძველ მწვრთნელებს ჩააბარეს, არადა, ვიცი, შარშან ერთი ამბავი იყო ატეხილი, უცხოელები თუ გვიშველიანო. ადგნენ და, პირველივე შემხვედრი მიიწვიეს და გუნდი ჩააბარეს. ცოტა ხანში გამოჩნდა, რომ შეცდნენ. გამოცდილებაც ესაა, მეორედ ასეთ დაუფიქრებელ ნაბიჯს აღარ გადადგამენ. თუმც რუსებს უკვე დათხოვილი მწვრთნელების ცოდნაც გამოადგებათ, მათგან ესენი რაღაც-რაღაცეებს მაინც ისწავლიდნენ.

— ჩვენი არ იყოს, მენტალურად რუსებსაც უჭირთ. ერთი ხელის მოსმით ადამიანის მსოფლმხედველობა არ შეიცვლება.

— ბევრი ფული მაღლი დონის ჩემპიონატს არ ნიშნავს, თუმც თავისთავად კარგია, რომ ფეხბურთით დასაქმებულ ხალხს ინტერესი აქვს. ფულის გამოყენებას და სწორად ხარჯვასაც ცოდნა უნდა. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ახლახან ბრაზილიელ ლიმას გაუფორმა კონტრაქტი. ის „რომაში“ თამაშობდა და იტალიის ჩემპიონია, ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელის დაპატრონება კი „ლოკომოტივმა“ უფასოდ შეძლო, თანაც გუნდი შესამჩნევად გააძლიერა. რუსეთში არის სხვა გუნდები, რომლებმაც ფეხბურთელებში რამდენიმე მილიონი დოლარი გადაიხადეს და მერე ისინი არ გამოადგათ. ფულს რომ იხდი, უნდა იცოდე, რას ყიდულობ.

— მოსკოვში „დინამოსთან“ ნახევარი საათი ვითამაშე და მიჭირს თქმა, რა დონეზეა დღეს მთლიანად რუსული ფეხბურთი. ისე კი, ვისი თამაშიც ვნახე, „ზენიტი“ ძალიან მომეწონა, ტაქტიკურ-ტექნიკურად ეს გუნდი სწორ ფეხბურთს თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვი იგივე „რუბინზე“, „ამკარზე“...

— ეტყობა, „ალანიას“ მწვრთნელი როლან კურბისიც არაა ბოლომდე ჩახედული რუსული ფეხბურთის სამზარეულოში, სათანადოდ ჯერაც ვერ შეუფასებია ფეხბურთელთა შესაძლებლობები და ისევ ძიების პროცესშია. მისი მოთხოვნების შესრულება ფეხბურთელებს უჭირთ და, ვფიქრობ, ამ სეზონს „ალანია“ მომავალი ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს.

— ვარჯიშებზე თავს კი ვატყობ, რომ სასურველ ფორმას ვუახლოვდები, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა მაკლია და უამისოდ ცოტა ხანს კიდევ გამიჭირდება, მოსამზადებელ ეტაპზეც არ მითამაშია.

კოგა ინასარიძე

რას შვრებით? დროშებით, დროშებით!

ევროპაში საფეხბურთო ზაფხული ნელ-ნელა ხურდება და ჩვენც იქ მობურთალ ქართველებზე რომ არ ვთქვათ, არ იქნება. ერთი სიტყვით, დღეიდან ყოველ სამშაბათს ტრადიციულად ჩვენს ლეგიონერთა მონაგარზე ვისაუბრებთ.

„დიდი“ ჩემპიონატები ჯერ არ დაწყებულა და ჩვენც „პატარებზე“ ვთქვათ. ამათგან ყველაზე პრესტიჟული, ზოგადად, რუსული პრემიერლიგა ჩანს, თუმცა, პირველი წრის დარად, ქართველი ლეგიონერები დიდად ვერ ყოჩაღობენ. მალხაზ ასათიანი და ვიტალი დარასელია ტრავმირებულნი არიან, მიხეილ აშვეთია და გიორგი ლომაია სათადარიგოთა სკამზე სხედან. ვინღა დარჩა? საქართველოს ნაკრების ნალებიც ესაა და მიხეილ ყაველაშვილის და ლევან გვაზავას შეცვლაზე ნათამაშები წუთები უკვე სათვალავში ჩასაგდებიც არაა.

ერთადერთი, ვინც გუნდს 90 წუთი შეეშველა, ოთარ ხიზანეიშვილია, რომელმაც თანდათან მოიკიდა ფეხი „დინამოს“ ძირითადში და, როგორც იტყვიან, უკვე „სასტავის“ კაცად ითვლება. „დინამომ“ კი 1:0 დაამარცხა ქართველების „ალანია“ და ჩეხი იაროსლავ გჟებიკის გადაყენების შემდეგ პირველად მოიგო, რაც სატურნირო ცხრილზეც აისახა — ამბიციურმა მოსკოვურმა კლუბმა მეთერთმეტე ადგილამდე აიწია.

ჩვენთვის სასიამოვნოდ დაიწყო ავსტრიული მაქსბუნდესლიგა — დავით მუჯირმა ორი გოლი გაუტანა „მატერსბურგს“, მაისურაც აიწია და გადაჭედილ სტადიონს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშაც დაანახვა. „მუმუს“ გოლებმა „შტურმს“ წინა სეზონის სირცხვილი გადაავიწყა, როცა გუნდმა გაჭირვებით შეინარჩუნა ადგილი ლიგაში და ახლა გრაცელები „სამეულს“ უმიზნებენ.

ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმა“ შინ კიევის „ობოლონი“ 2:1 დაამარცხა, თუმც ჩვენებურებს გოლი არ გაუტანიათ. „დემე“ კი მატჩამდე წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზით დააჯილდოვეს. დონეცკურ ამბებს გოგა გახოკიძით დავასრულებთ — ჰოლანდიური „ტვენტეს“ ყოფილი ნახევარმცველი უკვე „მეტალურგში“ ვარჯიშობს და, როგორც გავიგეთ, დღე-დღეზე კონტრაქტსაც გააფორმებს.

ბაჩა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
			ავსტრია. მაქსბუნდესლიგა					
დავით მუჯირი	შტურმი	შ	მატერსბურგი 3:1	89	2 გოლი, გააფრთხ. შეცვალეს	1	2	2
			რუსეთი. პრემიერლიგა					
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 2:0	0	ტრავმირებულია	8	0	3
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 2:0	0	სათადარიგო	11	0	3
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	დინამო 0:1	0	ტრავმირებულია	4	1	9
ლევან გვაზავა	ალანია	ს	დინამო 0:1	19	შეცვლაზე ითამაშა	7	1	9
მიხეილ ყაველაშვილი	ალანია	ს	დინამო 0:1	28	შეცვლაზე ითამაშა	1	0	9
რატი ალექსიძე	როსტოვი		ტური გამოტოვა			5	0	10
მამუკა ლომიძე	როსტოვი		ტური გამოტოვა			0	0	10
გიორგი ლომაია	სპარტაკი		ტური გამოტოვა			2	0	14
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	ალანია 1:0	90		3	0	11
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	ცსკა 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
			რუსეთი. პირველი დივიზიონი					
კახა ცხადაძე	ანჟი	ს	სოკოლი 1:3	90		6	0	11
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	სოკოლი 1:3	90		18	0	11
ედიკ საჯაია	არსენალი	ს	ორიოლი 0:1	22	შეცვლაზე ითამაშა	17	0	10
გიზო ჯელაძე	სოკოლი	შ	ანჟი 3:1	25	შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ.	14	0	2
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	შ	ტერეკი 0:0	0	ტრანსფერზეა	10	0	14
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	შ	ტერეკი 0:0	12	შეცვლაზე ითამაშა	4	0	14
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	ს	ურალანი 1:0	9		14	1	18
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	დინამო 1:1	12	შეცვლაზე ითამაშა	2	0	3
ზაზა ჯანაშია	ბალტიკა	ს	ლუჩ-ენერგია 0:0	0		0	0	22
თემურ გადელია	ბალტიკა	ს	ლუჩ-ენერგია 0:0	90		2	1	22
			უკრაინა. უმაღლესი ლიგა					
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	შ	ობოლონი 2:1	90		1	0	5
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	ობოლონი 2:1	78	შეცვალეს	1	0	5
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	შ	შახტარი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	13
ზურაბ იონანიძე	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	90	გააფრთხილეს	1	0	10
გია ჟანტურია	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	90		1	0	10
გიორგი იმედაძე	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	0		0	0	10
კახა ჩხეტიანი	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	90		1	0	10
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	10
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	ვოლინი 0:1	90	გააფრთხილეს	1	0	10
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	დნიპრო 2:4	62	შეცვალეს	1	0	11
			ფინეთი. ვეიკაუსლიგა					
გიორგი ნიკურაძე	კტპ	შ	იარო 2:0	90		10	0	7
			ლატვია. უმაღლესი ლიგა					
ლევან კორღალიძე	სკონტო	შ	აუდა 2:0	0	ტრავმირებულია	7	3	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	აუდა 2:0	90		13	3	2
გიორგი ყიფიანი	სკონტო	შ	აუდა 2:0	90		6	0	2
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ვენტსპილსი		ტური გამოტოვა			1	0	3
თამაზ პერტაია	დინაბურგი	შ	რიგა 3:3	90		13	0	4

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სანამ დავით მუჯირს გოლები გააქვს,
გოგა გახოკიძე და „მეტალურგი“ ერთმანეთს აკვირდებიან

იაშვილი შინ დარჩა

ფრაიბურგი დაფეხმძიმდა

თითქმის ერთი კვირაა, რაც იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ ლანგეუგიდან შინ დაბრუნდა და ორი საკონტროლო მატჩიც ითამაშა. ალექსანდრე იაშვილსაც ფრაიბურგული ამბები გამოვკითხეთ...

— ლანგეუგზე მეტწილად ფიზიკურად ვემზადებოდით. იქიდან დაბრუნებულებმა კი ორი ამხანაგური შეხვედრა ვითამაშეთ — ჯერ რეგიონალლიგის „ჰოფენჰაიმთან“ წავაგეთ 0:2. მე და ცქიტიშვილმა 90 წუთი ვითამაშეთ, არადა, შეკრებაზე მთელი მატჩის თამაში მთლად კარგი არ არის, თანაც დიდი დატვირთვების შემდეგ. გუშინ კი კელში მეორე ბუნდესლიგის „კარლსრუესთან“ დავმარცხდით 0:2 — ცქიტიშვილი და მე მეორე ტაიმში შევედით.

— ორივე მატჩის წაგება რისი ბრალი უნდა იყოს?

— ლანგეუგზე დიდი დატვირთვები გვქონდა და ფეხები ჯერაც დამძიმებული გვაქვს. დატვირთვები ნელ-ნელა დაიწევს და ჯანზეც მალე მოვალთ.

— მომდევნო საკონტროლო მატჩი ვისთან გაქვთ?

— პარასკევს ბილინგემის თასი იწყება, ოთხთა ტურნირი, სადაც „ფრაიბურგის“ მოყვარულთა გუნდიც ითამაშებს.

— შენი „ფრაიბურგიდან“ სხვა ბუნდესლიგურ გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით არის რაიმე სიახლე?

— ფაქტობრივად, ჯერ არაფერი.

— სატრანსფერო ფანჯარა აგვისტომდე ღიაა...

— დამდეგ სეზონსაც „ფრაიბურგში“ ვითამაშებ.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2004 პერუ (6-25 ივლისი)

მეოთხედფინალი

რუისი რომ უსტვენდა, ბრაზილია ნავარდობდა

ბრაზილია 4:0 მექსიკა
1:0 ალექსი (28პ), 2:0, 3:0 ადრიანო (66, 79), 4:0 რიკარდო ოლივეირა (87)
ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მაისონი, ლუიზაო, ჟუანი, გუსტავო ნერი, რენატო, კლებერსონი, ალექსი, ედუ, ადრიანო, ლუის ფაბიანო (რიკარდო ოლივეირა 77)
მექსიკა: ო. სანჩესი, რ. ოსორიო (ალტამირანო 33), დავინო, მარკესი, ბრისენო, ს. კარმონა, პარდო, გ. ტორადო (ბორგეტი 61), ო. ვალდესი, ბაუტისტა, არელანო (ოსორნო 74)
მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)
22 000 მაყურებელი



„ეს რა გვიქნეს კაცო?! მექსიკელმა ადოლფო ბაუტისტამ და მისმა მეგობრებმა ადრიანოსა და ბრაზილიელთა რზევას უყურეს

მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიამ მეოთხედფინალში რიკარდო ლავოლპეს საკმაოდ სიმპათიური მექსიკის ნაკრები მოულოდნელად 4:0 დაარბია. ცხადია, ბრაზილიელთა მოგება გასაკვირი არ იყო, გასაკვირი, დაგვეთანხმებით, ალბათ, საბოლოო შედეგია.

თავი მილანური „ინტერის“ ფორვარდმა ადრიანომ გაიგიჟა. მან ჯერ მსაჯს გამოსტყუა ერთი პენალტი, მერე ორი გოლიც გაიტანა და ბომბარდირებში დაწინაურდა.

მექსიკელთა კარში თერთმეტმეტრიანი კოლუმბიელმა მსაჯმა ოსკარ რუისმა დანიშნა. რუისი კი ის კაცია, ერთი თვის წინ ბრაზილია — არგენტინის მატჩში „პენტაკამპეონებისთვის“ სამჯერ საპენალტედ რომ დაუსტვინა.

კოლუმბიელმა მექსიკელ მეკარე ოსვალდო სანჩესს ადრიანოს წაქცევა დააბრალა. ტელეგამეორებაზე კი გამოჩნდა — სანჩესი უბრალო იყო.

დამარცხებულთა მწვრთნელის თანაშემწე ხორხე კამპოსმა ნამატჩევს დაიჩივლა: „მსაჯმა აშკარად გაგვწირა. ეს რომ არ მომხდარიყო, შედეგიც სხვანაირი იქნებოდა“.

ერთი კი ნაღდია — ადრიანომ მეტოქის მცველები თავიდანვე დააწიოკა და ორჯერ კარგი მომენტი გაუცუდდა.

უსამართლობით დაჩაგრულმა მექსიკელებმა მეტი ჟინით შეუტიეს მეტოქეს. ექტორ ალტამირანოს შესრულებული საჯარიმო ჟულიო სეზარმა ცხვირწინ მოიგერია, მაგრამ ოქტავიო ვალდესმა უკუგდებული ბურთი კარში ვერ მიაბრძანა.

ბრაზილიელთა მეკარემ კიდევ ორჯერ მოიგერია ალტამირანოსა და პაველ პარდოს საჯარიმოები, მოგვიანებით კი დუილიო დავინოს და ადოლფო ბაუტისტას ახლოდან არ გაატანინა.

თავის მხრივ ბრაზილიელ ლუის ფაბიანოს და კლებერსონსაც თითოჯერ მოეცარათ ხელი.

შესვენების შემდეგ ადრიანომ გაილაღა. საჯარიმოს ხაზიდან ცაცია დააჯახა ბურთს და ჩარჩოს კუთხეში ჩასვა.

ინტერელმა მალე მეორეც მიაყოლა: მეკარე სანჩესის შეცდომით ისარგებლა, გასცდა და ცარიელ კარში გაიტანა. ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა რიკარდო ოლივეირამ მეოთხედ დაამწუხრა ნირწამხდარი მეტოქე.

მექსიკელთა კაპიტანი პაველ პარდო: „ასეთ მატჩებში შეცდომებს არავინ გაპატიებს, მით უმეტეს ბრაზილიის დარი გუნდი. ჩვენ უყურადღებობის გამო დავისაჯეთ. ასეთი ანგარიშით მარცხი ძალიან საწყენია“.

„პენტაკამპეონელთა“ თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ კითხვაზე, თუ რა შეცვალა გუნდში მეოთხედფინალამდე, უპასუხა: „არაფერი. ვვარაუდობდით, რომ ზღვის დონეზე დაშვებულები უკეთესად ავთამაშდებოდით და ასეც მოხდა. ვფიქრობ, ჩვენს სიძლიერეში ყველა დავარწმუნეთ, რადგან მოვუგეთ გუნდს, რომელიც აქ დაუმარცხებელი იყო და არგენტინასაც კი სძლია.“

ბრაზილია ნახევარფინალში ურუგვაის შეხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

კარლოს ტევესს, მეტსახელად „კარლიტოს“, ბალღობაში თურმე, მდუღარე გადაესხა და სახე დაუთუთქა. იგი 20 წლისაა და პერუსთან მეოთხედფინალურ მატჩში პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა

კაცი, რომელიც იცინის... სახენაიარევი კარლიტო

ამ გოლით არგენტინა ნახევარფინალში გავიდა, მარსელო ბიელსა კი კიდევ ერთხელ გადაურჩა ისედაც მის მოძულე გულშემატკივრების რისხვას.

ბიელსას არ სურდა ტევესის შეცვლაზე შეშვება, რაც აღიარა კიდეც ნამატჩევს, მაგრამ „კარლიტომ“ გაუმართლა — ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი არგენტინას მოაგებინა.

„უზომოდ ბედნიერი ვარ გამარჯვებით. საჯარიმოებს „ბოკა ხუნიორსში“ ხშირად ვარტყამ, ოღონდ არ მეგონა, თუ ნაკრებშიც მენდობოდნენ“ — თქვა ბოკელმა.

20 წლის ტევესზე არგენტინაში შარშან ალაპარაკდნენ. მისი „თამადობით“ „ბოკა ხუნიორსმა“ ჩემპიონატიც მოიგო და ლიბერტადორესის თასიც. იგი ძალიან რეაქტიულია.

მარსელო ბიელსა ნაკრებში „კარლიტოს“ აყვანაზე ჭოჭმანობდა, გულშემატკივრები კი ტევესის თამაშს დაჟინებით ითხოვდნენ, მაგრამ თავად ფეხბურთელი სათადარიგოობას არ თაკილობს: „ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჯერ არ ვიმსახურებ, რადგან ჩემზე უკეთესები არიან“.

კარლოს ტევესი პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას არ აპირებს, ეს იარები ჩემი ნაწილიაო.

ვაჟა ხუციშვილი

დარიომ გამოიდარა

თავდამსხმელი დარიო სილვა მაშინ „გაცოცხლდა“, როცა ურუგვაის გუსტავო ვარელა გაუძევეს. ესპანური „სევილიას“ ფორვარდმა მას მერე იჩაუქა, მისმა წყვილმა გოლმა კი გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა.

დარიო სილვა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს გაუწყრა — კუთვნილ პრემიებს როცა მომცემენ, მერე დავბრუნდებიო.

ურუგვაელ თავდამსხმელს 2001 წლის შემდეგ სანაკრებო გოლი არ გაეტანა, ამჯერად კი ერთბაშად ორი შეაგდო.

პარაგვაელები მცველ კარლოს გამარას წყალობით დაწინაურდნენ, რომელმაც პარედესის ჩაწოდებულ ბურთს დაჰკრა თავი საგოლედ.

ტაიმის მიწურულს ურუგვაელმა კარლოს ბუენომ პენალტი მოინაგრა და თავადვე გამოიყენა. მეორე ნახევრის დაწყებიდან ოც წუთში გუსტავო ვარელა გააძევეს, რადგან ფრედი ბარიეროს უკნიდან ფეხი ფეხში ჩასცხო.

ამ მომენტიდან ცოტა ხანში კი დარიო სილვამ გოლის გემო გაიხსენა. კრისტიან როდრიგესისგან მიღებული ბურთი პირველი ცდით ვერ დაიმორჩილა, მაგრამ მეორე ჯერზე ივარგა — დაარტყა და ურუგვაი 2:1 დააწინაურა.

პარაგვაი 1:3 ურუგვაი
1:0 გამარა (15), 1:1 ბუენო (39პ), 1:2, 1:3 დარიო სილვა (66, 89)
პარაგვაი: ვილიარი, პ. ბენიტესი, მანსური, გამარა, კრისტალდო (ფიგერედო 61), ე. ბარეტო (დოს სანტოსი 68), პარედესი, დ. გონსალესი (ვილალბა 73), ა. ტორესი, აედო, ბარეირო
ურუგვაი: ვიერა, გ. ვარელა, ლაგო, პ. მონტერო, დ. როდრიგესი, სოსა, კრისტიან როდრიგესი (ვ. სანჩესი 85), ხ. დელგადო, ფორლანი (დ. პერესი 69), დარიო სილვა, ბუენო (გ. როდრიგესი 76)
გაძევება: ვარელა (64)
მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)
30 000 მაყურებელი

პარაგვაელებს შეეძლოთ გათანაბრება, ოღონდ მეკარე სებასტიან ვიერამ იყოჩაღა, ხოლო ბოლოს, დარიო სილვამ მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა და მესამე გოლი შეუგდო.

„ბიჭების ძალიან კმყოფილი ვარ, მათ მშვენივრად ითამაშეს“ — ხარობდა ნამატჩევს ურუგვაელთა მწვრთნელი ჟორჟე ფოსატი.

ვაჟა ხუციშვილი

თავგამოჩენილი ურუგვაელები: დარიო სილვამ დუბლი მიითვალა, გუსტავო ვარელა გააძევეს, კარლოს ბუენო კი ერთ გოლს დასჯერდა

ნახევარფინალი
20 ივლისი: არგენტინა – კოლუმბია
21 ივლისი: ურუგვაი – ბრაზილია

დღე პირველი

პორტუგალიის რვეული

2 ყვირილი



ის ბევრს ყვირის, იქნევს ხელებს, მიჩვეულია საჩვენებელი თითებით ლაპარაკს. მიდი-მოდის, როგორც მშიერი მგელი გალიაში. თავისთვის ლაპარაკი არ უყვარს, არც თანაშემწეებთან საქმის გარჩევა, მათთვის აზრის გაზიარება თამაშის დროს.

იერით ბიძა კაცია, ახოვანი, ოღონდ ვიწრომხრებიანი. გრძელი ხელებით, დოინჯითა და სპორტული სამოსით. კარგა ხანია, ჰალსტუხით არ ყოფილა თამაშზე, ამ სტილს უარყოფს. მოკლე, ჭაღარა ულვაში აქვს, მოვლილი სახე, ცისფერი თვალები. შვილიშვილებისთვის ღონიერი ბაბუები რომ არიან, ზუსტად ისეთია.

ბევრს არ უყვარს. ცუდი ენა აქვს, უხერხული თქმა იცის და სამწვრთნელო შეხედულებებიც მოდიდან გასულ, დიად, თუმცაღა ოდიოზურ მწვრთნელებს უგავსო. საერთოდ, ვერ იტყვი, რომ ბრაზილიელია, იმიტომ, რომ ტომით იტალიელია — დედაც იტალიელი ჰყავდა და მამაც — თავად კი, როგორც ამბობენ, ამსტერდამში დაიბადა მაშინ, როცა მშობლები მუსოლინისგან გათავისუფლებული იტალიიდან გადაიხვეწნენ და გეზი შორი ქვეყნისკენ აიღეს, ოკეანის გაღმა დასახლდნენ.

ამიტომ ის ბრაზილიელია, თუმცა არ უყვართ. მეტსახელად ვირი აქვს. კარიკატურისტები ისე ხატავენ, როგორც ვირს. საწყენადაც და მეგობრულადაც. მისთვის კი სულერთია. მისი ნათქვამია — „რაც უფრო მეტი ხალხი მენინააღმდეგება, მით უფრო ჯიუტად მივდევ ჩემს საქმეს“. ის განთქმული საკლუბო მწვრთნელი იყო, თუმცა ამბობდნენ, რომ ყველაფერი დაივიწყა, რაც კი რამ კარგი იყო ბრაზილიურ ფეხბურთში. აგრესიული დაცვა, გრძელი პასის ტაქტიკა, უხეშობა — ამიტომ დაარქვეს მის ყველაზე განთქმულ გუნდს, „გრემიოს“ ცუდი ბიჭები პორტუ ალეგრიდან.

მას კი, მიუხედავად ყველაფრისა, დიდი ფილიც დაარქვეს. ლუიშ ფელიპე სკოლარი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელია. ის ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი იყო და ამ გუნდს 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოაპოვებინა. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ მას კრიზისული ნაკრები ჩააბარა. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ სკოლარი ასეთი იყო: ჯიუტი, აგრესიული და ბევრისთვის აუტანელი. მისი ბრაზილიის ნაკრებში მისვლიდან ერთი თვის თავზე, ბრაზილია ჰონდურასმა გააგდო კოპა ამერიკას მეოთხედფინალიდან და დიდი ფილი კვლავ ვირად იქცა. მან კი მაშინ დაიღრიალა: გჯეროდეთ, გჯეროდეთ, გჯეროდეთ! ამის დედა ვატირე, გჯეროდეთ ჩვენი!.. ამბობენ, ამ კაცს გველის წინათგრძნობა აქვს და რომ შეუძლებელია ამგვარი წინათგრძნობა ადამიანს ჰქონდეს.

სკოლარი ბიჭი აღარ არის. დიდი ხანია, აღარ არის ბიჭი და საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესმე ყოფილიყო ბიჭი.

მას რთული თამაში უყვარს და გზაზე სულ რთული თამაშები ხვდება. ამ თამაშებს ის სკამზე მჯდომი არ უცქერის. ის დადის, გაშლის თავის გრძელ ხელებს და თამაშში მონაწილეობს. ლაპარაკობს, ლაპარაკობს, გაუთავებლად ლაპარაკობს.

მოგეხსენებათ, ყოველ მწვრთნელს თავისი მანერა აქვს: ზოგი საერთოდაც დიქტოფონზე იწერს თავის აზრებს თამაშის შესახებ, ზოგი დიდი დავთრით დაიარება, ზოგი ზის და ლოყებს ბერავს. თუ გოლს გაუშვებს, ოდნავ შეიჭმუხნის შუბლს, თუ გაიტანს, გაიღიმებს. ზოგი მთელს თამაშს სკამზე ატარებს, ზოგი კი სამწვრთნელო რიგის კიდესთან წყნარად მდგომი. ზოგი მხოლოდ მაშინ წამოდგება, როცა რაღაც სახიფათოს დალანდავს. ზოგი რეზინს ღეჭავს, ზოგი გაუთავებლად სვამს წყალს. ზოგს ხელქვეითებთან ლაპარაკი უყვარს. მწვრთნელს რა გამოლევს, აქტიური და პასიური ადამიანები, ცხადია, ფეხბურთშიც არიან. ისევე როგორც შემტევი და დამცავი ადამიანები. შეიძლება შენს გუნდს შეტევას ათამაშებდე, თავად კი დამცავი ადამიანი იყო, ანდა პირიქით.

გასულ ევროპის ჩემპიონატზე ორი დაუდეგარი კაცი ჩანდა მწვრთნელთა ზონაში: სკოლარი და ოტო რეჰაგელი. ამ ორმა კაცმა გაარკვია ერთმანეთში ჩემპიონობის ბედი და რეჰაგელი მოგებული დარჩა.

მეფე ოტოს მანერა ცნობილია. ის ძალიან აქტიურია სარბენ ბილიკზე, ძალიან ხმამაღალი იყო და არის და რახან ბერძნებთან ენობრივი პრობლემაც აქვს, თანაშემწესაც მალიმალ იხმარს. ოტომ ქურთუკის, ბოთლის დახეთქება იცის და ფეხებსაც ხელებივით აქტიურად ხმარობს. სამოცდახუთი წლის კაცის პირობაზე, ის უზომოდ აქტიურია თამაშის დროს, მაშინ როცა, კარლ ბრუკნერი, რომელსაც ასევე უყვარს წამოდგომა, მშვიდი და იმპოზანტურია, თითქმის ისეთი, როგორიც ინდიელი ბელადები არიან ხოლმე კინოებში. მაგრამ ოტო გერმანელია, გერმანელი მწვრთნელების დაუდეგარობა და ბობოქრობა კი ცნობილია. საკვირველია, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების ძველ მწვრთნელებს, ტელე სანტანასა და კარლოს ალბერტო პარეირას რომ გაიხსენებ, მათი მშვიდი იერი გაგაკვირვებს. რა თქმა უნდა, სკოლარისთან შედარებით.

ოტოს მინდვრის კიდიდან თამაშის მართვის თავისი ხერხები აქვს. მოკლე და მჭახე სტვენა ნეკა თითით, ბერძნების შემთხვევაში პირობითი ნიშნები ხელებით, რადგან ენით ძნელია გააგებინო. ისეთი პირობითი ნიშნები, ამერიკულ ფეხბურთში რომ აღნიშნავს კომბინაციებს. ეს მოკლე სტვენა ნეკით, მხცოვან ჯოვანი ტრაპატონის საფირმო ნიშანი, რეჰაგელს ისე კოხტად აქვს დამუშავებული, რომ გუნდს ძალიან ეხმარება.

საერთოდ, როცა ასეთი მწვრთნელის შორიახლოს, ან სულაც უკან ზიხარ, სულ იოლად ხვდები, რამხელა გავლენა აქვთ მათ თამაშზე. ხოლო როცა სვენ გორან ერიკსონის უკან ზიხარ, ვერც კი მიხვდები, რომ ის რაღაცით მაინც ზემოქმედებს თამაშზე. ერიკსონი და მისი ყაიდის მჯდომარე მწვრთნელები ზარმაც პილოტებს ჰგვანან. აუშვეს თვითმფრინავი ჰაერში და ჩართეს ავტოპილოტი. ავტოპილოტი კი კარგია, მაგრამ ფეხბურთელები მთლად ხელსაწყოები ხომ არ არიან? ისინი ცდებიან.



როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი მართალი იყო, ევრო 2004-ის მეოთხედფინალში პორტუგალიასთან პენალტების სერიაში ბურთის აცილებას მოედანს რომ აბრალებდა. ეს მისი მაშინდელი მეტოქის, მეკარე რიკარდუს ნათქვამიდან გახდა ცნობილი. ლისაბონის „სპორტინგის“ გოლკიპერი, მისივე სიტყვების თანახმად, ბექემთან მისულა და უთქვამს, იცოდე ააცილებო

რიკარდუს დღიურიდან

რატომ ააცილა ბექემმა პენალტი?

პინგ-პონგია, დარტსი თუ სნუკერი...

„ბექემმა თვალიც არ დაახამხამა. შეშფოთებული ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ აცილების ეშინოდა“ — ეს ამბები რიკარდუს თავის დღიურში უწერია, მეკარის დღიური კი გასულ უქმეებზე ყოველკვირეულმა ჟურნალმა „საბადომ“ გამოაქვეყნა.

„ალბათ იმიტომ ეშინოდა, რომ ბოლო ორი პენალტი (ერთი ოქტომბერში, თურქეთში) ააცილა. იმ ორიდან ის ერთი — თურქეთში აცილებული — აშკარად უხერხო მინდვრის ბრალი გახლდათ. იმავე მიზეზით ააცილა ამჯერადაც.

დარტყმის მომენტში მისმა საყრდენმა ფეხმა ბალახი ამოაგდო, რაც წონასწორობის დასაკარგად სრულიად საკმარისი გამოდგა, ხოლო ამან ბურთის ტრაექტორიის მნიშვნელოვნად შეცვლა გამოიწვია“.

მოგეხსენებათ, კარის ბადეში შევარდნის მაგივრად ბურთი ტრიბუნაზე გაფრინდა, სადაც ესპანელმა გულშემატკივარმა დაიჭირა. მოგეხსენებათ ისიც, რომ იმ ესპანელმა ბიჭმა ამ ბურთით დიდძალი ფული იშოვნა — ბურთი აუქციონზე გაიყიდა.

ეს მართლაც გახლდათ დევიდ ბექემის მესამე აცილებული პენალტი. პირველად, როგორც რიკარდუმ აღნიშნა, ეს მოხდა სტამბოლში, თურქეთისა და ინგლისის ნაკრებების შესარჩევ შეხვედრაში, რომელსაც თან დიდი ჩხუბი ახლდა და 0:0 დასრულდა, ხოლო მეორედ კაპიტანს ევრო 2004-ის პირველ შეხვედრაში, ფრანგების მეკარე ბარტეზმა აუღო.

რაც შეეხება მეკარე რიკარდუს, მან, ზემოხსენებულ მეოთხედფინალში გადამწყვეტი როლი ითამაშა, როდესაც ინგლისელების ბოლო პენალტი მოიგერია, შემდეგ კი თავად გაიტანა — ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა 6:5 გაიმარჯვეს.

რიკარდუს ჩანაწერებს, რომელიც 200 გვერდიან წიგნად გამოვა, „ოცნების დღიური“ ჰქვია და მასში ბევრი სახალისო თუ ნიშანდობლივი ამბავი წერია: მაგალითად, ახალგაზრდა პორტუგალიელთაგან ყველაზე პოპულარულზე, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 19 წლის გარემარბ კრისტიანო რონალდოზე მეკარე ასე ამბობს: „პინგ-პონგია, მაგიდის ფეხბურთი, დარტსი თუ სნუკერი, ის არ ეშვება და გატაცებით თამაშობს. თუ ამქვეყნად თამაშისა და შეჯიბრებისთვის შობილი ხალხი არსებობს, ერთი მათგანი აშკარად კრისტიანო რონალდოა“.

პაპუნა კედია

პორტუგალიელთა მეკარე რიკარდუმ იცოდა, რომ ბექემი პენალტს ვერ გაიტანდა

დღე უკანასკნელი

მაგრამ სკოლარიმ სტვენა არ იცის. ის არასოდეს უსტვენს, რომ ვინმეს რამე გააგებინოს. ზოგჯერ ის არც ყვირის, თავისი გრძელი ხელებით, ჰაერში ხაზავს წრფეებს და გაუგებარი ფორმის რგოლებს ფეხბურთელთა დასანახად.

სკოლარი ხედავს, რომ ფეხბურთელები ცდებიან. საკვირველია, მაგრამ მან წინდაწინ იცის, სად შეცდებიან ფეხბურთელები. ჩეხთა მწვრთნელი ბრუკნერი ჭადრაკის დიდებული მოთამაშე ყოფილა, ამიტომ ეს სიბრძნე ტაქტიკოსობაშიც ეტყობა.

სკოლარი არც უსტვენს და არც ჭადრაკს თამაშობს, მაგრამ თუკი სადმე არსებობს საფეხბურთო ჭადრაკი, იმის ჩემპიონი ნამდვილად სკოლარი იქნება, რადგან სრულიად წარმოუდგენელია, უყურო ამ კაცის მონაწილეობას თამაშში და არ გაოცდე მისი წინათგრძნობებით და წინასწარმეტყველებებით, რაც, რა თქმა უნდა, თამაშის უკიდეგანო ცოდნასთანაა დაკავშირებული.

სიმართლე რომ ითქვას, სკოლარი არც ყვირის. ყვირილი ამ შემთხვევაში მისი სტადიონზე ლაპარაკი ფორმაა. როცა სამოცი ათასი კაცი გუგუნებს, შენ კი ისეთი მწვრთნელი ხარ, რომელიც ყოველწამიერად, თავად მონაწილეობ თამაშში, შენი ლაპარაკი ყვირილი გამოდის. ანუ სკოლარის ყვირილი უბრალოდ ემოციური ღრიალი კი არ არის, არამედ, ხმამაღლა ლაპარაკია, საძუშაოა. ამ სამუშაოს კი ის გენიალურად ასრულებს.

საერთოდ, საუცხოო საცქერია ჭკვიანი, შუახნის კაცი ნებისმიერ საქმეში: ემოციებით გაჯერებული, მსაჯებს შეჩენილი. ოღონდაც, რომ დააკვირდები, მაინც ზომიერი და არცთუ მთლად გადარეული და დიდად არც პუბლიკაზე მოთამაშე.

სკოლარის უყვარს პუბლიკა, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მაყურებელს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. სხვა საქმეა, ვთქვათ, ევროპელ მწვრთნელთა ზრდილობიანი მადლობები თავიანთ გულშემატკივართა მიმართ და სხვა საქმეა, ბრაზილიელი მწვრთნელის დამოკიდებულება თავის გულშემატკივართან. ყოველმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა იცის, რომ ის პირდაპირაა დამოკიდებული გულშემატკივარზე. არსად არა აქვს ფეხბურთის მოყვარულს იმხელა როლი, რამხელაც ბრაზილიაში და არსად მწვრთნელი ისე არ უფრთხის თავის გულშემატკივარს, როგორც ბრაზილიაში. ამიტომ, სკოლარის ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ტრიბუნების ხმის მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა ბრაზილიურია და ამ მწვრთნელმა ზუსტად იცის ტერასების გულისთქმა. მას შეუძლია ამ გულისთქმით მანიპულირება. რახან სკოლარი გამორჩეულად მიხვედრილი კაცია, მან ზუსტი მესიჯების გზავნაც იცის. მოიგებს თუ წააგებს, ის ყოველთვის გულშემატკივრის გასაგონად ლაპარაკობს და ლაპარაკობს ისე, რომ თვითონ მართალი კაცია. ეს განსაკუთრებით ჭრიდა პორტუგალიაში, სადაც მაყურებელი არ არის ისეთი აგრესიული და მომთხოვნი საკუთარი გუნდის მიმართ, როგორც ბრაზილიაში.



სწორედ სკოლარი მოუწოდებდა პორტუგალიელებს, რომ თამაშზე მიმავალ ნაკრების ავტობუსს გზისპირებიდან მისალმებოდნენ, სწორედ სკოლარი ამბობდა, რომ ყოველ პორტუგალიელს უნდა ეცვას ეროვნული ნაკრების მაისურა, ჰქონდეს შარფი და დროშა და იყოს აქტიური. პორტუგალიელებს ძალიან უყვართ თავიანთი ფეხბურთელები, იმდენად უყვართ, რომ მათ არასოდეს გალანძღავენ.

პორტუგალიელები ორმხრივი განცდით უცქერდნენ სკოლარისაც. მისი შემტევი ხასიათი მათთვის თითქოს ნამეტანი იყო, მაგრამ პორტუგალიელებმა იწამეს ამ კაცისა, რომელმაც მართლა ყველაფერი ჩადო სანაკრებო საქმეში.

სკოლარი უნიკალური მიღწევის წინაშე იდგა: იყო მსოფლიოს ჩემპიონი და ნაბიჯი აშორებდა ევროპის ჩემპიონობისგან. ის ამისთვის მუშაობდა, თუმცა საქმის დასაწყისი საშინელი გამოუვიდა: პირველივე თამაში ნააგო.

მისივე სიტყვებია: ევროპის ჩემპიონობა ასგზის მნიშვნელოვანია. ბრაზილია ხუთჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი, პორტუგალია კი არასდროს ყოფილა რაიმეს ჩემპიონი. თუ პორტუგალიელთა უკიდეგანო და უთქმელ ემოციურობას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რა ძნელი იყო ამ გუნდის მომართვა იმისთვის, რომ ზედიზედ მოეგო ოთხი თამაში და მერე ფინალიც. სკოლარი ამას ახერხებდა: ხშირად ის თავადვე აკრიტიკებდა საკუთარ თავს, რადგან თამაშის წესები იცოდა, და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში არ უთქვამს ბრაზილიელთა ყურს მიჩვეული რამეები: რომ, ვთქვათ, რომარიო ნაგავია და არ სჭირდება და რომ სულერთია, როგორ მოიგებ, წიხლით თუ ჭკუით, რომ კაცურ მოგებას და არაკაცურ მოგებას შორის სხვაობა არ არის.

არსად ჩანდა ის, რასაც ის ბრაზილიურ კლუბებში აკეთებდა. ამაში დამნაშავე თავად პორტუგალიური ფეხბურთი იყო, რადგან პორტუგალიელებმა მხოლოდ ერთი ხერხით იციან თამაში, მათ ძალიან უჭირთ, როცა არ უტევენ, როცა თავიანთ საოცარ ტექნიკას და მახვილგონიერებას არ ამზეურებენ. თუმცა, ბრაზილიური გაზეთები წერდნენ, რომ პორტუგალიის ნაკრებს ხშირად სწორედ ბრაზილიური ფეხბურთისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალურ შესრულებაზე გათვლილი გოლები გააქვს, რაც ცხადია, სკოლარის ხელია.

სკოლარიმ უცებ, მეორე თამაშიდანვე გადაწყვიტა, რომ არაადამიანური სისწრაფეები ჩაერთო. ეს საოცარი საცქერი იყო, მაგრამ დიდმა ფილმა მერეღა ინანა, ეს სისწრაფე ფინალისთვის უნდა შემომენახაო.

ის ხედავდა ფინალს ყოველი თამაშის შემდეგ, მაგრამ არ ამხელდა, რადგან ყოველი შემდგომი თამაში უფრო რთული იყო, ვიდრე წინა. პორტუგალიას სულ ორმაგი და ორმაგი უწევდა.

ის იქნევდა ხელებს, ყვიროდა. იმედგაცრუებული, უცებ მოუტრიალდებოდა ხოლმე ტრიბუნას, ბოლოს კი მაინც ხარობდა. ეს კაცი საქმეში იყო და იცოდა ეს საქმე. ყველაფერი წინდაწინ იცოდა, რადგან ასეთი მწვრთნელია.

გაგრძელება იქნება

ნაღდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნი წავა... მაგრამ სად?

„ევერტონის“ თავმჯდომარემ, ბილ კენრაიტმა განაცხადა, რომ უეინ რუნის მომავალი მალე გაირკვევა, ოღონდაც ისიც დაურთო, რომ ყრმა ვარსკვლავის ტრანსფერი კლუბის მომავალზე გვარიანად იმოქმედებს.

კენრაიტმა თქვა, რომ ამ კვირაში კლუბის მენეჯერ დევიდ მოიესთან ერთად გამართავს თათბირებს რუნის მომავლის გამო.

ინგლისის ნაკრების ლიდერს კონტრაქტით ორი წელიწადი კიდევ აკავშირებს „ევერტონთან“. „უეინის გაყიდვა ძალიან გამოასწორებს კლუბის ფინანსებს — ამბობს კენსაიტი — მაგრამ ის რომ ხუთწლიან კონტრაქტზე დაგვთანხმდეს, ესეც ძალიან გვახეირებს. თუ მას შევინარჩუნებთ, გამოვა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჩვენთან თამაშობს და ეს უამრავ კარგს მოგვიტანს. თუმც საქმე ისაა, რომ მისი ამბავი ახლა უნდა გადაწყდეს, ეს სეზონი რომ გავა, უეინს ერთი წელი დარჩება ჩვენთან, ხოლო როცა ამგვარ ფეხბურთელს ერთი წელი რჩება, კლუბს მასთან ლაპარაკი და რაიმე ფასეულის შეთავაზება გაუჭირდება.“

ამიტომაც „ევერტონმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი და კვირაში 50 ათასი გირვანქა შესთავაზა 18 წლის ფეხბურთელს. ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუნიზე „მანჩესტერი“ და „რეალი“ ნადირობენ. კენრაიტი ამბობს, რომ უეინის შესანარჩუნებლად მას ორლესული ხმლის პირზე მოუწევს გავლა, თუმცა იცის, როგორ გაიაროს.

ამასობაში „ევერტონის“ ყოფილ კაპიტანს, სტივ უოტსონს მიაჩნია, რომ მოიესი რუნის ვერ შეინარჩუნებს: „აშკარაა, რომ რუნი წასასვლელადაა გამზადებული. მოიესი ყველაფერს ეცდება, მაგრამ არა მგონია, „ევერტონი“ ისეთი რამის შემთავაზებელი იყოს, რომ ბიჭი დარჩეს. აშკარაა, რომ აგენტები ყველაფერს აკონტროლებენ. გულშემატკივრებს ცხადია, ეწყინებათ და კლუბიც ფრთხილად უნდა იყოს, მაგრამ ალებული ფულით უამრავი კარგი რამის გაკეთება შეიძლება. კლუბი მოღონიერდება და საჭირო მოთამაშეებსაც იყიდის“.

მოკლედ, რუნი ალბათ წავა. მაგრამ სად?

ირაკლი გამყრელიძე

ლიზარაზული სანაპირო

ფრანგული გაზეთის, „ეკიპის“ თანახმად, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ბიქსენტ ლიზარაზუ უახლოეს დღეებში „მარსელის“ ფეხბურთელი გახდება.

34 წლის ლიზარაზუმ დიდი საკლუბო ფეხბურთი შვიდი სეზონის განმავლობაში მიუნხენის „ბაიერნში“ ითამაშა, მაგრამ ამ ზაფხულს გერმანულ კლუბს გასცილდა და ამ წუთამდე მისი მომავლის შესახებ ზუსტად არაფერი იყო ცნობილი. ლიზარაზუს სახელს უკავშირებდნენ ევროპის, მათ რიცხვში ინგლისური პრემიერლიგის სხვადასხვა კლუბებს, მაგრამ ბოლო დღეებში, როგორც ჩანს, ყველაზე რეალური „მარსელის“ ვარიანტი შეიქნა.

საინტერესოა, რომ გამოცდილი მცველი არცთუ დიდი ხნის წინ ინგლისურ „ბოლტონსა“ და ჟაკ სანტინის „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ სჭირდებოდა, მაგრამ „მარსელს“ მანუელ სანტუში ლისაბონის „ბენფიკაში“ წაუვიდა და ლიზაც, ალბათ, გეზს სამხრეთ საფრანგეთისკენ აიღებს.

პაპუნა კედია

ჩვენ და მილანელები

კაპელოს ორი წლის წინანდელი მიპოლი სჭირდება

„იუვენტუსის“ ახალი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო თავის ყოფილ გუნდს, „რომას“ სკუდეტოს რეალურ კანდიდატად არ მიიჩნევს.

„ტიტულისთვის სამ კლუბი იბრძოლებს, ორი მილანური და ერთიც ჩვენ — თქვა ტაქტიკოსმა — „მილანმა“ ისედაც ძლიერი გუნდი კიდევ უფრო გააძლიერა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ მაინც აქვს შედარებით სუსტი წერტილები. ვფიქრობ, ჩვენ სწორედ იმ წერტილებში უნდა შევუტიოთ“.

კაპელო გრძნობს, რომ „რომა“ სკუდეტოს კანდიდატი ვერარ იქნება, ხოლო თუ ანტონიო კასანოც მართლა წაუვა, მაშინ...

„ეს „რომასთვის“ უდიდესი დანაკლისი იქნება, მაგრამ თუ კასანო „რეალში“ გადავა, მაშინ თავად ფეხბურთელი და, ცხადია, მთლიანად იტალიური ფეხბურთი გამდიდრდება“ — განმარტა მან.

რაც შეეხება მის ახლანდელ გუნდს, „იუვენტუსს“, კაპელო ფრიადი ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ტურინელებს დიდად გამორჩეული ფეხბურთელი არ შეუძენიათ.

„გეგმა გვაქვს, თუმცა მის შესახებ საჯაროდ საუბარს, ბუნებრივია, არ ვაპირებთ — თქვა კაპელომ — ჩვენ ვიცით, ვინ, რამდენად და რა ფორმით გვინდა შევიძინოთ. კლუბისა დიდად მწამს.

ფაბრიციო მიკოლი

თუმცა, თუ გნებავთ, ჩვენს პირველ შენაძენად დავიდ ტრეზეგე ჩათვალეთ. ფეხბურთელებზე მსჯელობისას და ფიქრისას ხანდახან უფრო ბრძნულია, ვინც გვყავს, იმათ გადახედო ახლებური თვალით.

ფეხბურთელების მხოლოდ ყიდვის გამო ყიდვა კი აზრსმოკლებულია, რადგან ყოველმა ახალმა შენაძენმა კონკრეტული შედეგი, ძველ მდგომარეობასთან შედარებით განსხვავება უნდა მოგცეს“.

და, რაგინდ უცნაურად გეჩვენოთ, კაპელო, როგორც ჩანს, ფაბრიციო მიკოლიზე აპირებს აქცენტის გაკეთებას.

„მიკოლი აშკარად ნიჭიერია — დასძინა კაპელომ — მინდა მან ისევე ითამაშოს, როგორც ორი წლის წინ „პერუჯაში“ თამაშობდა, რადგან მიკოლი, რომელიც მე მახსოვს და მჭირდება, ის არის“.

და ბოლოს, კაპელოს ალესანდრო დელ პიეროს ავან-ჩავანი ჰკითხეს.

„დელ პიერო ჯერ 30 წლისაც არ არის, მას მსოფლიო და იტალიურ ფეხბურთს კიდევ ბევრი შეუძლია მისცეს. რა განსხვავებაა მას და ტოტის შორის? ამაზე არ მსურს საუბარი. ისინი, უბრალოდ დიდი ფეხბურთელები არიან“ — მიუგო მან.

აღსანიშნავია, რომ დელ პიერო ევრო 2004-ზე მონაწილეობის გამო ნაბოძები ნაგვიანევი შვებულებიდან გამოვიდა და „იუვენტუსთან“ ერთად ვარჯიშს შეუდგა.

პაპუნა კედია

ალო, ფაბიო ვარ!

ემერსონი: გამიშვებ მაესტრო რეალში?

აი, ამბის საინტერესო განვითარება: „რომას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი, ემერსონი შესაძლოა, ამ ზაფხულს მადრიდის „რეალში“ გადავიდეს, ოღონდ თუ ამის ნებას „იუვენტუსი“ დართავს. საქმე ის არის, რომ ემერსონი ტურინელებს მათთან გადასვლას დაპირდა, მაგრამ მოგეხსენებათ, „რომა“ და „იუვენტუსი“ სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებოდნენ და... ბოლოს საქმეში „რეალიც“ ჩაერია.

„მე ველაპარაკე „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს. მან ყველაფერი იცის — განაცხადა ემერსონის აგენტმა ჟილმარ ველოშმა — ჩვენ „იუვენტუსს“ მივეცით პატიოსანი სიტყვა და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევცვლით, თუ ტურინელები მოგვცემენ ამის ნებას. „რეალთან“ მოლაპარაკების უფლებას სწორედ ტურინელებისგან ველოდებით“.

მოგეხსენებათ, ემერსონს „რომასთან“ კონტრაქტის თანახმად ერთი წელიწადილა აქვს დარჩენილი, ასე რომ, კლუბს მისი გაყიდვა ახლავე უჯობს, თორემ გაისად ამ დროს ის ქუდს დაიხურავს და თავისუფალი აგენტის სტატუსით სადაც მოეპრიანება იქ წავა, ისე რომ, „რომას“ ერთი ცენტიც არ ერგება. მეორე მხრივ, ფეხბურთელს მაინცდამაინც „იუვენტუსში“ უნდა გადასვლა, ხოლო „იუვენტუსი“ „რომას“ იმაზე გაცილებით ნაკლებს სთავაზობს, ვიდრე მას სურს. მეტიც, „იუვენტუსზე“ გაცილებით მეტს იხდიდა „ინტერი“ და აი, ახლა, „ინტერის“ ტოლი ფულით საქმეში სერიოზულად ჩაერია „რეალიც“.

აგენტი ველოში: „ჩვენ, მე და ემერსონმა, კარგად ვიცით, რა გუნდიც არის „რეალი“, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მას „იუვენტუსში“ უნდა გადასვლა. ტურინი ის ქალაქია, სადაც ემერსონს ცხოვრება სურს და საიდანაც ყოველდღე ურეკავს ფაბიო კაპელო“.

პაპუნა კედია



არის ფერარის საქმე!

ჰრანდელიმ მატეო რომასთვის გამოთალა

მატეო ფერარი ამ კვირის ბოლოს „პარმადან“ „რომაში“ გადავა.

„ხელშეკრულება უკვე თითქმის მომზადებულია — ამბობს აგენტი ჯოვანი ჩორჩი — ხოლო ნებისმიერი ჭორი, რომ ფერარი სადმე სხვა გუნდში გადავა, ტყუილია. ამწუთას მატეო სეიშელის კუნძულებზე ისვენებს და მასთან დაკავშირება ნებისმიერი კლუბისთვის შეუძლებელია. „რომა“ ფეხბურთელს იმიტომ მოსწონს, რომ ჯერ ერთი, დიდი კლუბია და მეორეც, მისი ყოფილი მწვრთნელი, ჩეზარე პრანდელი გადავიდა იქ მოკლედ, მან კონტრაქტს ხელი ამ დღეებში უნდა მოაწეროს“.

თუ გახსოვთ, „პარმას“ ცენტრალურ მცველს „ჯალოროსისთან“ მას მერე აკავშირებენ, რაც პრანდელი გადაბარგდა იტალიის დედაქალაქში. პრანდელი ფერარის ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და მისგან იტალიის ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა მცველი „გამოთალა“. საინტერესოა, რომ ფერარი ჯოვანი ტრაპატონის ევრო 2004-ზე ჰყავდა წაყვანილი, ხოლო მისით ბევრი კლუბი დაინტერესდა. ჯერ კიდევ იანვარში ამბობდნენ, რომ ახალგაზრდა მცველი „იუვენტუსში“ გადავიდოდა. შემდეგ მისადმი ინტერესი „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ გამოამჟღავნა.

თუ „რომა“ მატეო ფერარის მართლა იყიდის, მაშინ მომავალ სეზონში მისი და „ოსერიდან“ წამოყვანილი ფილიპ მექსეშის ერთად თამაშის საშუალება მიეცემა.

პაპუნა კედია

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

24 მილიონი: დროგბამ ბრიტანეთი გააკვირა

აბრამოვიჩმა მაურინიუს შეკვეთა შეასრულა





აილე და დახარჯე ფული, მით უმეტეს, თუ ის ხელის ჭუჭყივით ულევადაა. არც იმას შეხედო, ჭუჭყიანია თუ სუფთა. მთავარია, შენს ჯიბეში ან საბანკო ანგარიშზე იდოს.

ამ პრინციპით ბევრი მოქმედებს, მაგრამ ჩვენ ამჟამად რომან აბრამოვიჩი გვაინტერესებს, რომელმაც ახალი მწვრთნელის, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუს დაჟინებული მოთხოვნით, ლონდონის „ჩელსის" დიდიე დროგბა უყიდა. შარშანდელი უეფას თასის თითქმის გმირის „მარსელიდან" ლონდონში ტრანსფერი აბრამოვიჩს 24 მილიონი გირვანქა დაუჯდა, რაც ევროებში 44,95 მილიონი გამოდის და ელისაბედ მეორის კუნძულებზე ერთ ფეხბურთელში დახარჯული სარეკორდოდ დიდი თანხაა.

ბუნდესნაკრები შეფერიანდა

გერმანია შმაგს გადაეყარა

ბუნდესნაკრების თავკაცის მძებნელი გერმანია ვინი შეფერს მიადგა. 54 წლის გერმანელი ამჟამად კამერუნის ეროვნულ გუნდს წვრთნის. 17 ნოემბერს კი გერმანია — კამერუნის ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი. რომელი ნაკრების სამწვრთნელო სკამზე იჯდება თავფაფარა შეფერი ნოემბრის მატჩში, ჯერ უცნობია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ახალი ბუნდესმწვრთნელის ვინაობა ამ კვირაში უნდა გაირკვეს.

ამბობენ, რუდი ფიოლერს ვინი შეფერი შეცვლისო

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ შექმნილი საგანგებო კომისიის წევრები და ამავე კომისიის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი ვინი შეფერს ფრანკფურტში შეხვდებიან და პასუხს იქ მიიღებენ.

შეფერის გარდა, სავარაუდო კანდიდატთა სიაში კვლავ ტრიალებენ ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი, დანიელი მორტენ ოლსენი და ლოთარ მათეუსი.

„ბილდის" გამოკითხვის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ გერმანელ ქომაგებს უცხოელის ვარიანტი გულზე არ ეხატებათ. თან ჰიდინკს პსვ-სთან, ოლსენს კი დანიასთან კონტრაქტები აკავშირებთ, ხოლო მათეუსს გულშემატკივრები სამწვრთნელო გამოუცდელობით იწუნებენ.

ბუნდესნაკრების თავკაცობის მეტი შანსი ამჟამად სწორედ შეფერს აქვს. მის ხელქვეით კამერუნი აფრიკის ჩემპიონი გახდა, 2002 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც ჯგუფში ფიოლერისეულ გერმანიას შეხვდა და დამარცხდა.

ვინი შეფერს ფიცხი ხასიათის გამო „შმაგი ვინი" შეარქვეს. იგი 1987 წლიდან „კარლსრუეს" წვრთნიდა, თავად კი ფეხბურთელობისას 403 მატჩში უთამაშია. მან „აღმოაჩინა" ოლივერ კანი, რომელთანაც დღემდე მეგობრობს.

აქვე გავიხსენოთ, რომ უეფას თასის 1993-94 წლების გათამაშებაში შეფერის „კარლსრუე" ჰიდინკის „ვალენსიას" შეხვდა. ესპანეთში გერმანელები 1:3 დამარცხდნენ, ხოლო საპასუხო მატჩში „კარლსრუემ" 7:0 დალეწა „ვალენსია" და ჰიდინკმა ამ მარცხის შემდეგ სამსხური დაკარგა.

ვაჟა ხუციშვილი

ნაკატა იტალიაში დაკატაობს

ჰიდეტოშის მეხუთე ფიორენტინაა

აღორძინებულმა, „ფიორენტინამ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ „პარმადან" იაპონელი ვარსკვლავი ჰიდეტოში ნაკატა იყიდა.

ნაკატა 27 წლის გახლავთ. მისი სატრანსფერო თანხის შესახებ არაფერს იტყობინებიან. ცნობილია, რომ იაპონელი და ფლორენციელები სამწლიან თანამშრომლობას აპირებენ.

ასე და ამგვარად, „ფიორენტინა" ჰიდეტოში ნაკატას მეხუთე იტალიურ კლუბია 1998 წლის შემდეგ. მან თავიდან „პერუჯათი" დაიწყო, შემდეგ თამაშობდა „რომასა" და „პარმაში", გასულ სეზონში კი „ბოლონიაში" იყო გაქირავებული.

რაც შეეხება „ფიორენტინას", მან ამ ზაფხულს მესამე ფეხბურთელი იყიდა: ჯანი გიგუ, კრისტიანო ლუპატელი და ახლა ნაკატა.



პაპუნა ძედია

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „იუვენტუსი" შესაძლოა, იგორ ტუდორმა დატოვოს. ხორვატ მცველს ლონდონურმა „ტოტენჰემმა" დაადგა თვალი. „მამლები" მზად არიან, მის სანაცვლოდ 3,5 მილიონი ევრო გადაიხადონ. სავარაუდოდ, ამ წინდადებას თავად 26 წლის ფეხბურთელიც მიიღებს, რადგან „იუვეს" ახალ თავკაც ფაბიო კაპელოს ტუდორი ძირითადის მოთამაშედ არ მიაჩნია.

ბრაზილიელი რივალდო პორტუგალიაში ჩავიდა, სადაც „ბოლტონის" ფეხბურთელებს შეუერთდება და ვარჯიშს დაიწყებს. ცოტა ხნის წინ „მილანის" ყოფილ მოთამაშეს ინგლისელთა თავკაც სემ ალარდაისისთვის დაურეკავს და მოლაპარაკებების გაწელვისთვის ბოდიშიც მოუხდია. „ბოლტონის" მწვრთნელმა კი თქვა — ბოდიში მიღებულია, მაგრამ რივალდომ სეზონის დაწყებამდე გუნდში უნდა ივარჯიშოს, დანარჩენი შემდეგ გადაწყდებაო.

პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ სურვილი გამოთქვა, 2006 წლის მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრებს წარუძღვეს. სკოლარის თქმით, ამჟამად იგი მთლიანად პორტუგალიელთა საოლიმპიადოდ და სამუნდიალოდ მომზადებაზეა კონცენტრირებული, მაგრამ თუ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისგან წინადადებას მიიღებს, სიამოვნებით დათანხმდება.

ინგლისური „ჩელსის" ხელმძღვანელობამ ჯანფრანკო ძოლას საპატივცემულოდ ამხანაგური მატჩის ჩატარება გადაწყვიტა. იტალიელი შვიდი წლის მანძილზე იცავდა „არისტოკრატთა" ღირსებას და ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. მატჩს, რომელიც 8 აგვისტოს გაიმართება, კომერციული დატვირთვაც აქვს. „ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია, ისეთ ფეხბურთელს ვცეთ სათანადოდ პატივი, როგორიც ძოლაა. მჯერა, ეს დღე „ჩელსის" ყველა ქომაგისთვის დაუვიწყარი იქნება" — აღნიშნა ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა.

ფრანგული „მონაკოს" კოპა ამერიკაზე მყოფ სკაუტებს ხავიერ სავიოლა მოუვიდათ თვალში. „მონაკომ" უკვე შესთავაზა „ბარსელონას", ფორვარდის ერთი წლით განათხოვრება, რაც ორივე მხარესთვის სასარგებლო იქნებაო. თავად სავიოლას თქმით, ახლა მხოლოდ ეროვნულ გუნდზე ფიქრობს და როდესაც კატალონიაში დაბრუნდება, გადაწყვეტილებას მერე მიიღებს.

პორტუგალიური „პორტუს" უფროსობამ საჯაროდ განაცხადა, თუ ვინმეს რიკარდუ კარვალიუს შეძენა სურს, 30 მილიონი ევრო გადაიხადოსო: „რეალმა" მცველში 11 მილიონი შემოგვთავაზა რაზეც, ცხადია, უარი ვუთხარით. პრესაში იწერებოდა, რომ მადრიდელები დაიცდიდნენ, სანამ პოზიციებს არ დავთმობდით, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ 30 მილიონი კარვალიუს მინიმალური ფასია" — თქვა „პორტუს" პრეზიდენტმა ნუნუ პინტუ ჟორჟე და კოშტამ.

თურქულ „ბეშიქთაშს" ესპანური პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი „სელტაც" მცველის გუსტავო ხუანფრანის შეძენა უნდა. სტამბოლელები ვიგოელებს 2,5 მილიონი ევროს სთავაზობენ. ესპანური პრესის ცნობით, „სელტა" ტრანსფერის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ფეხბურთელში ნახევარი მილიონით მეტს ითხოვს.

ყატარის ფრანგმა თავკაცმა ფილიპ ტრუსიემ აღნიშნა, რომ აზიის თასის დასრულებისთანავე პოსტს დატოვებს, თუმც მიზეზი არ დაუსახელებია. შეგახსენებთ, რომ მან 2000 წელს იაპონიასთან ერთად უკვე მოიგო კონტინენტის პირველი გუნდის ტიტული.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფორვარდი ენდი კოული, ბლექბერნიდან" „ფულემში" გადაბარგდა. „წითელი ეშმაკები" მან სამი წლის წინ დატოვა. გასულ სეზონში 33 წლის ვეტერანი იშვიათად ხვდებოდა კლუბის ძირითად შემადგენლობაში და „როვერსის" თავკაც გრემ სუნესთან კონფლიქტიც ჰქონდა.

ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი მომავალ სეზონსაც „რივერ პლეიტში" გაატარებს. 30 წლის ფეხბურთელი ტურინის „იუვენტუსის" საკუთრებაა, მაგრამ იტალიურ კლუბში მისი ადგილი ვერ მოიძებნა. სალასმა გასული სეზონიც „რივერში" გაატარა, ამჟამად კი ყატარულ კლუბთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ საბოლოოდ არგენტინაში გადაწყვიტა დარჩენა.

შვედეთი

ალსვენსკან, XII ტური

ლანდსკრონა 1:0 ელფსბორგი

იორებრო 3:3 სუნდსვალი

ჰალმსტადი	11	7	3	1	26:13	24
მალმიო	12	6	5	1	18:5	23
ჰამარბი	11	7	2	2	12:7	23
კალმარი	11	5	4	2	15:10	19
გიოტებორგი	12	5	3	4	12:9	18
სუნდსვალი	12	3	6	3	13:13	15
იურგორდენი	11	3	4	4	14:17	13
აიკ	12	3	4	5	9:12	13
ელფსბორგი	12	3	4	5	8:15	13
იორებრო	12	3	4	5	15:24	13
იორგრიტე	12	2	6	4	12:16	12
ლანდსკრონა	12	2	5	5	12:16	11
ტრელებორგი	11	2	3	6	7:13	9
ჰელსინგბორგი	11	1	5	5	14:17	8

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ჯაზი 0:0 ჰიკ

კტპ 2:0 იარო

ტურკუ 3:2 ტპ-47

ჰაკა 1:0 როვანიემი

ჰაკა	15	9	4	2	27:8	31
ინტერი	13	8	2	3	30:18	26
ტურკუ	15	8	2	5	25:20	26
ტამპერე	12	7	3	2	17:7	24
ალიანსი	13	7	3	3	18:14	24
ჰიკ	15	5	8	2	23:15	23
კტპ	15	6	5	4	21:17	23
ტპ 47	14	6	3	5	22:17	21
ლაჰტი	15	3	8	4	17:21	17
ჯაზი	14	4	4	6	22:24	16
მიკუპა	12	3	4	5	11:17	13
როვანიემი	15	2	3	10	14:33	9
ჰაკიენლინა	14	1	4	9	15:31	7
იარო	14	2	1	11	12:32	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა. II ტური						
		20 ივლისი						
21.30	001	პაშინგი-შტურმი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
		21 ივლისი						
21.30	002	რაპიდი-ტიროლი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
21.30	003	ადმირა-ბრეგენცი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
21.30	004	გრაცერი-ზალცბურგი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
21.30	005	მატერსბურგი-აუსტრია	3,6	3,2	1,9	1,69	1,24	1,19
		შვეიცარია. სუპერლიგა. I ტური						
		20 ივლისი						
21.30	015	თუნი-სერვეტი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
		დანია. სუპერლიგა. I ტური						
		24 ივლისი						
19.00	021	სილკებორგი-კოპენჰაგენი	3,6	3,3	1,85	1,72	1,22	1,18
		25 ივლისი						
17.00	022	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
17.00	023	ნორდსიელანდი-ორჰუსი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
17.00	024	ჰერფიოლგე-ვიბორგი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.35	025	ბრიონდბიუ-ოდენსე	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური						
		21 ივლისი						
22.00	028	მალმიო-ჰალმსტადი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
		ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური						
		25 ივლისი						
20.00	047	სოგნდალი-სტაბეკი	2,1	3,4	3,0	1,29	1,23	1,59
20.00	048	ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
20.00	049	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
20.00	050	ლილესტრიომი-ვიკინგი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
20.00	051	ტრომსიო-ჰამარი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
22.15	052	მოლდე-ბრანი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
		26 ივლისი						
21.00	053	ვოლერენგა-ლინი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XV ტური						
		21 ივლისი						
19.00	056	ტამპერე-ჰაკა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
19.30	057	ჰაამეენლინა-მიუპა	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32
19.30	058	იარო-ტპ 47	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		22 ივლისი						
19.00	059	ლაჰტი-ინტერი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
19.30	060	როვანიემი-ალიანსი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები						
		21 ივლისი						
16.00	076	მოსკოვი-შინიკი	1,9	3,0	3,8	1,16	1,26	1,67
16.00	077	ალანია-სპარტაკი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
		უკრაინა. პრემიერლიგა II ტური						
		20 ივლისი						
16.00	087	კრივბასი-დნიპრო	4,0	3,0	1,8	1,71	1,24	1,12
16.00	088	მეტალისტი-მეტალურგი	3,5	3,0	1,95	1,61	1,25	1,18
16.00	089	ობოლონი-ვორსკლა	1,7	3,0	4,8	1,08	1,25	1,84
16.00	090	შახტარი-ჩერნომორეცი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
16.00	091	ტავრია-ზაპოროჟიე	1,8	2,9	4,2	1,11	1,26	1,71
16.00	092	ვოლინი-ილიჩოვეცი	2,45	2,8	2,7	1,3	1,28	1,37
16.00	093	ზაკარპატია-დინამო	14,0	7,0	1,05	4,66	1	1
		21 ივლისი						
16.00	094	არსენალი-ბორისფენი	1,85	2,9	4,0	1,12	1,26	1,68
		სლოვაკეთი. I ლიგა. I ტური						
		24 ივლისი						
20.00	107	ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
20.00	108	დუბნიცა-პუხოვი	1,75	3,2	4,0	1,13	1,21	1,77
20.00	109	სობოტა-რუჟომბეროკი	2,5	3,0	2,45	1,36	1,23	1,34
		25 ივლისი						
12.30	110	პეტრჟალკა-ინტერი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
		ხორვატია. 1.HNL. I ტური						
		21 ივლისი						
20.00	113	სლავენი-ოსიეკი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
		23 ივლისი						
22.00	114	ჰაიდუკი-პულა	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
		24 ივლისი						
20.00	115	მედიმურიე-რიეკა	2,5	3,0	2,45	1,36	1,23	1,34
20.00	116	ზაგრები-ინტერი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
22.00	117	კამენი-ვარტექსი	2,2	3,1	2,9	1,28	1,25	1,49
		25 ივლისი						
20.00	118	ზადარი-დინამო	4,8	3,4	1,6	1,99	1,2	1,08
		ბრაზილია. სერია A. XVII ტური						
		20 ივლისი						
03.30	121	კორინთიანსი-ინტერნასიონალი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
03.30	122	ფიგეირენსე-კურიტიბა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
03.30	123	გრემიო-პარანა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
03.30	124	გუარანი-ფლამენგო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
03.30	125	ჟუვენტუდი-ვიტორია	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
03.30	126	პაისანდუ-პალმეირასი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
03.30	127	სან კაეტანო-პონტე პრეტა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
03.30	128	ვასკუ და გამა-კრუზეირო	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
03.30	129	ატლეტიკო მნ-გოიასი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
04.45	130	ატლეტიკო პრ-ფლუმინენსე	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
04.45	131	ბოტაფოგო-სან პაულუ	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
04.45	132	სანტოსი-კრიკიუმა	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
		გერმანია. ლიგის თასი						
		21 ივლისი						
22.00	158	ლევერკუზენი-ჰანზა	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
		22 ივლისი						
20.00	159	შტუტგარტი-ბოხუმი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		დანია. სუპერთასი						
		20 ივლისი						
20.30	161	კოპენჰაგენი-ოლბორგი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. II მატჩები						
		21 ივლისი						
18.00	163	ნეფთჩი-შიროკი ბრიეგი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.00	165	ჰიკ-ლინფილდი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
20.00	166	ქენესი-შერიფი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
20.00	167	კაუნასი-სლიემა	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
22.00	170	რილი-სკონტო	4,4	3,5	1,65	1,94	1,2	1,12
22.15	171	გორიცა-ფლორა	1,3	4,2	8,0	1,11	1,11	4
22.45	172	შელბურნი-რეიკიავიკი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		ამხანაგური მატჩები						
		20 ივლისი						
21.00	187	რომა-რეინჯერსი	1,9	3,1	3,5	1,17	1,23	1,64
21.15	188	ბაზელი-ვერდერი	2,5	3,1	2,4	1,38	1,22	1,35

ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივლისი						
03.45	006	არგენტინა-კოლუმბია	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
		21 ივლისი						
03.45	007	ბრაზილია-ურუგვაი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95

I ტაიმის შედეგი

		20 ივლისი						
5006	არგენტინა-კოლუმბია	2,3	2,0	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	
		21 ივლისი						
5007	ბრაზილია-ურუგვაი	2,1	2,05	5,6	1,03	1,52	1,5	

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შორი ზაფეულად ჩაითვლება)

	20 ივლისი		
5406	არგენტინა-კოლუმბია	1,65	2,3
	21 ივლისი		
5407	ბრაზილია-ურუგვაი	1,5	2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				20 ივლისი						
5106	არგენტინა-კოლუმბია	2,7	10,0	20,0	3,8	4,6	7,5	20,0	10,0	6,5
				21 ივლისი						
5107	ბრაზილია-ურუგვაი	2,4	12,0	25,0	3,5	4,8	8,5	20,0	10,0	8,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბარადII-ში	
	20 ივლისი			
5506	არგენტინა-კოლუმბია	3,0	2,8	2,0
	21 ივლისი			
5507	ბრაზილია-ურუგვაი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	20 ივლისი		
5306	არგენტინა-კოლუმბია	1,65	1,95
	21 ივლისი		
5307	ბრაზილია-ურუგვაი	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	20 ივლისი		
5206	არგენტინა-კოლუმბია	1,65	1,95
	21 ივლისი		
5207	ბრაზილია-ურუგვაი	1,7	1,9

შემდეგ ეტაპზე გასვლა

	20 ივლისი		
7006	არგენტინა-კოლუმბია	1,4	2,4
	21 ივლისი		
7007	ბრაზილია-ურუგვაი	1,3	2,8

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1-ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშკეტერთაგან წავიდა ერთი

ძმა

ჟურნალისტ არჩილ გოგელიას უამრავ ქართველ თუ უცხოელ სპორტსმენზე დაუწერია ნარკვევი და მერე თავის თხზულებათა კრებული წიგნებადაც გამოუცია. იმ ნარკვევებში განსაკუთრებული ადგილი მაინც მოფარიკავეებსა და საერთოდ ფარიკაობას ეთმობოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავადაც მოფარიკავე იყო — სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული... გოგელიამ მოფარიკავეებს ცალკე წიგნიც კი მიუძღვნა — „მუშკეტერები". მასში ქართული ფარიკაობის ოქროს ხანის წარმომადგენლებზე და მათ წინამორბედებზეც მოგვითხრობს. მოგვითხრობს თითქმის ყველა მეტნაკლებად გამოჩენილ მოფარიკავეზე, მაგრამ, იმისა არ იყოს, მჭედელი უდანოდ დარჩენილაო, საკუთარ წარმატებებზე, ღვიძლ ძმებზე, გიორგი და კონსტანტინე გოგელიებზე, რომლებიც ქართული საფარიკაო რენესანსის ერთ-ერთი შემოქმედნი იყვნენ, არაფერს, ან თითქმის არაფერს ამბობს

არადა, უფროსი ძმა, გიორგი გოგელია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ახალგაზრდული მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი, ის პირველი ქართველი მოფარიკავეა, ვინაც ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

კონსტანტინემ სამივე ხარისხის მედალი დაიმსახურა, ჩემი წარმატებები კი ამ სახელობაში შედარებით მოკრძალებული იყოო, ამბობს უმცროსი არჩილ გოგელია. თუმცა, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებული მესამე ადგილი, ისე, როგორც თავისი ძმების მსგავსივე მიღწევა, არც ისე მოკრძალებულია. ჩვენი კოლეგა თავის საფარიკაო ოჯახს მხოლოდ ისე, გაკვრით იხსენებს: „ორმა უფროსმა ძმამ, გოგიმ და კოტემ კარგა ხანია დატოვა ასპარეზი. მიუხედავად ამისა, დღე ისე არ გავა, რომ ოჯახურ წრეში თავი არ მოვიყაროთ. საუბარი იწყება და მთავრდება ფარიკაობით. ჩვენთან ხშირად მოდიან რესპუბლიკის ცნობილი მოფარიკავეებიც. მაშინ ჩვენი მსჯელობა პიროვნულ საკითხებს სცილდება და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს"...

არჩილ გოგელიას თითქოს კვერს უკრავსო ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი, როცა თავის „მოფარიკავის ჩანაწერებში" წერს:

„გოგელიების ოჯახს სამართლიანად უწოდებდნენ მოფარიკავეთა კერას. ძმები თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ და მოფარიკავეებს ხშირად გვიყვარდა მათ მყუდრო ეზოში თავშეყრა. აქ ვსაუბრობდით, ვაანალიზებდით განვლილ შეჯიბრებებს, ვაწყობდით მომავლის გეგმებს..."

ძმებს არაერთხელ ერთადაც უასპარეზიათ სხვადასხვა შეჯიბრებებზე. თუნდაც 1958 წლის მოსკოვი გავიხსენოთ, სადაც ქართველმა მოფარიკავეებმა საერთო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს. ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს გიორგი და კონსტანტინე გოგელიებმა.

ერთხელ, არჩილ გოგელიასთან ფოტოებს რომ ვათვალიერებდი, ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება ძმების ერთად გადაღებულმა სურათმა მიიპყრო და გამახსენდა აჩიკოს „ბილიკი", სადაც წერს: „მე მაგონდება ვერცხლისფერი ბილიკი, მაგონდება კუშტი დარბაზი, ხუჭუჭთმიანი, ქოჩრიანი ბიჭები, დღევანდელ კვალობაზე სასაცილოდ ჩაცმულ-დახურულნი და მაინც უზომოდ ბედნიერები".

„ხუჭუჭთმიან, ქოჩრიან ბიჭებში" მე ის სურათი გამახსენდა — ერთად გადაღებული სამი ძმა, სამი მუშკეტერი.

სამწუხაროდ, ამ საფარიკაო ოჯახის ერთი წევრი, შუაში ალბეჭდილი ძმა, კონსტანტინე გოგელია დღეს ჩვენს შორის აღარ არის. მას დღეს მიაბარებენ სამუდამო განსასვენებელს.

— კონსტანტინე გოგელია თხუთმეტისა იყო, როცა უფროსმა ძმამ საფარიკაო დარბაზში მოიყვანა, — იხსენებს მსოფლიოს ახალგაზრდული მეგობრული სპორტული თამაშების, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების, სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი, მელბურნის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იური ოსიპოვი — კოტემ დაშნით ფარიკაობა ამჯობინა, რითაც ძალზე გაგვაკვირვა, რადგან საშუალო სიმაღლისა იყო,. დაშნით კი ტანმაღალი, ლამის კალათბურთელივით მაღალი სპორტსმენები ფარიკაობდნენ. მიუხედავად ამისა, კოტე ძალზე სწრაფად დაწინაურდა და ორი წლის მერე, 1953 წელს იუნიორთა საკავშირო პირველობაზე გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა, პირადში კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. სულ მალე უფროსებში რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა და საქართველოს ნაკრებშიც მტკიცედ დამკვიდრდა, 1956 წელს კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ხუთეულში მოხვდა, რამაც საკავშირო ნაკრებისკენ გაუხსნა გზა.

— კონსტანტინე გოგელიას გამოსვლებიდან განსაკუთრებით კარგად შემორჩა მეხსიერებას 1958 წლის საკავშირო ჩემპიონატი — იხსენებს იმ დროს ერთ-ერთი ცნობილი ასევე დაშნით მოფარიკავე გივი ცაგარელი — მაშინ ისე კარგად დავიწყეთ ბრძოლა, რომ ბევრი უკვე გუნდურ პირველობას გვიწინასწარმეტყველებდა და მართლაც გავედით ფინალურ ოთხეულში, მაგრამ მერე ისე გაგვიხდა საქმე, ლამის მესამე ადგილიც დავკარგეთ. იმ ბრძოლაში სომხებს ვხვდებოდით, საგულშემატკიროდ ჩვენი ხმალით მოფარიკავეებიც მოვიდნენ. მაშინ სომხებს ძალზე ძლიერი დაშნით მოფარიკავეები ჰყავდათ. განსაკუთრებით ორი გამოირჩეოდა, ჩერნიკოვი და ნოვიკოვი. ჩერნიკოვი მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი იყო, ნოვიკოვი კი, მართალია, თანამდეროვე ხუთჭიდელი იყო და ამ სახეობაში მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და ოლიმპიურიც, მაგრამ ფარიკაობა ძალზე ემარჯვებოდა. ასე იყო თუ ისე, სომხებთან ერთიმეორეს მიყოლებით დავმარცხდით და 3:7 ვაგებდით. ეს იმ ჩემპიონატის ბოლო ბრძოლა იყო და შუაღამეც გადავიდა. ზოგმა ხელიც ჩაიქნია და სასტუმროში წავიდა, ამ დროს კოტე მოვიდა, გაგვამხნევა და ერთ გამარჯვებას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და საბოლოოდ კოტემ გადამწყვეტი შეხვედრა მოიგო. პაექრობა 8:8 დასრულდა. გამარჯვებულის ბედი კი ურთიერთჩხვლეტების სიმრავლემ გადაწყვიტა, სადაც მნიშვნელოვანი უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო.

მეგობარს იხსენებს ხმლით ფარიკაობაში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, პრიზიორი და თასის მფლობელი მორის სახვაძეც. ამბობს, კოტე ძალზე ლამაზად და მოხდენილად ფარიკაობდა, ზოგჯერ მოგებაზე მეტად ფარიკაობის ესთეტიკურ მხარეზე ფიქრობდა. ამ მხრივ იგი თავის უფროს ძმას გვაგონებდაო.

კონსტანტინე გოგელია

ასეთი იყო იქ, საფარიკაო ბილიკზე დამცავი ნიღბით მებრძოლი კონსტანტინე გოგელია, მაგრამ ნიღაბმოხსნილი, სარბიელს მიღმა ცხოვრებაში უფრო გამორჩეული ჩანდა.

გივი ცაგარელი იხსენებს, საფარიკაო კოსტიუმი ყველას სტანდარტული გვქონდა, მაგრამ კოტეს იგი მუდამ კოხტად ადგა ტანზე, მუდამ გაქათქათებული ეცვა, მუდამ ლამაზად და კოპწიად გამოიყურებოდა. ცხოვრებაშიც ასეთივე აკურატული იყოო.

იური ოსიპოვი კონსტანტინე გოგელიას ახასიათებს როგორც უაღრესად კულტურულ, განათლებულ პიროვნებას და იხსენებს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრაო.

კონსტანტინე გოგელია პროფესიით გეოლოგი იყო, მერე მუშაობა დაიწყო, ხშირად ველად მივლინებები უწევდა და ფარიკაობას ნაადრევად შეეშვა, თავის საქმიანობაში კი ნამდვილი პროფესიონალი გახდა. საქართველოს ნაპირდაცვის საპროექტო ინსტიტუტს მეთაურობდა და ჩვენი ქვეყნის სანაპიროს ზღვის მიტაცებისგან ბრძოლაში თავისი უდიდესი წვლილი შეჰქონდა. თავისი პროფესიული კვალი მან კუბასა და ალჟირშიც დატოვა.

ავთანდილ გურასაშვილი

გიორგი, კონსტანტინე და არჩილ გოგელიები

საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტი,
პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და
გენერალური მდივანი ემზარ
ზენაიშვილი სამძიმარს უცხადებენ
გაზეთ „სარბიელის" გამომცემელ
ზურაბ ფოცხვერიას სიმამრის
კონსტანტინე გოგელიას
გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტი,
პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და
გენერალური მდივანი ემზარ
ზენაიშვილი სამძიმარს უცხადებენ
საქართველოს ფარიკაობის
ფედერაციის პრეზიდენტ
არჩილ გოგელიას ძმის
კონსტანტინე გოგელიას
გარდაცვალების გამო

საზაფხულო რიგ-რიგ

მერე რა, რომ სკიტა კარგია

მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან საქართველოს ნაკრების წევრები უკვე დაიძრნენ იტალიისკენ. ნიკა ცქიტიშვილი კი ამ დროს სოლტ ლეიკ სიტიშია და „როკი მაუნთინის“ საზაფხულო ლიგაზე ღვრის ოფლს. ლას ვეგასის კემპზე ნაყოჩაღები „სკიტა“ თანდათან ალღოს უღებს მთიანი სოლტ ლეიკ სიტის ტურნირს და „ფინიქსთან“ სადებიუტო მატჩში ჩაგდებულ 9 ქულას გუშინწინ „დალასსთან“ 19 მოაყოლა.

ამ შედეგით ქართველმა ფორვარდმა მატჩის ბომბარდირობა გაიყო დალასელ მარკუს დანიელსთან, რომელიც ჯოშ ჰოვარდთან ერთად „მავერიკსის“ ძირითადში ირიცხებოდა გასულ სეზონში.

ჰოვარდ-დანიელსის ტანდემი დალასელთა იმედია სოლტ ლეიკ სიტიში. სწორედ ამ ბიჭების დახმარებით ეურჩებოდა „დალასი“ „დენვერს“ მატჩის საწყის წუთებში და საბოლოოდ 2 ქულით დათმო პირველი მეოთხედი.

„დენვერში“ არ ითამაშა საზაფხულო ლიგებში ნიკოლოზ ცქიტიშვილის მარჯვენა ხელმა ფრანცისკო ელსონმა, თუმც ქართველს სხვა დამხმარენი გამოუჩნდნენ — მელვინ სანდერსი და მაილს სიმონი. გარდატეხა „ცქიტომ“ მეორე მეოთხედში შეცვლაზე შესული რონ ჰეილის დახმარებით შეიტანა, როცა „დენვერს“ ორწუთეული 7:0 მოაგებინა და პირველ ტაიმში 8 ქულით დააწინაურა.

ლას ვეგასის კემპთან შედარებით ცქიტიშვილის შედეგიანობამ სოლტ ლეიკ სიტიში იკლო, თუმც იმატა მისმა მოხსნების ოდენობამ — „ფინიქსთან“ მატჩის დარად, ნიკამ „დალასთანაც“ 8-ჯერ მოხსნა ბურთი. ამ მაჩვენებელში მას მხოლოდ თანაგუნდელმა, 9 მოხსნის მიმთვლელმა მეტ ნილსენმა აჯობა.

მეორე ტაიმში გულდამშვიდებულ დენვერელებს საქმე გაუჭირა „დალასის“ ახალგაზრდა დევინ ჰარისმა. მან მინიმუმამდე შეამცირა თავისიანთა ჩამორჩენა და ვინ იცის, რა მოხდებოდა, ისევ ცქიტიშვილს რომ არ ეყოჩაღა. ქართველი ფორვარდის დახმარებით დენვერელებმა საიმედო ლიდერობა დაიბრუნეს ბოლო მეოთხედში და გამარჯვებამდეც იოლად მივიდნენ.

სოლტ ლეიკ სიტიში ჯერაც წაუგებელი „დენვერი“ დღეს „შარლოტს“ ეთამაშება...

ირაკლი პერტაია



ვის ახსოვს ცქიტიშვილი?

დენვერში ყველა ადგილი დაკავებულია

„დენვერ ნაგიტსის“ წარმატებული სატრანსფერო საქმიანობა გრძელდება. „ოქროს ზოდებმა“ გუშინწინ კონტრაქტი გაუხანგრძლივეს ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მომხსნელს მარკუს კემბის.

კემბისთვის ბოლო სეზონი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა. შესაძლოა, მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ისეთი თვალისმომჭრელი არაა, როგორც, ვთქვათ, ინდიანელი მეფარე ჯერმენ ონილისა, მაგრამ მისი მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 9 ქულა და 10 მოხსნა დიდად დაეხმარა „დენვერს“ პლეი ოფში გასაძრომად. კემბისთვის იმით უფრო გამოირჩეოდა ეს სეზონი, რომ მან 72 მატჩში მიიღო მონაწილეობა, რაც მანამდელ 7 სეზონში ათასგვარი ტრავმის გამო ვერ მოეხერხებინა.

თურმე ახალი, 2-წლიანი კონტრაქტის პირობები, რომელიც არ ხმაურდება, ორი კვირით ადრე ყოფილა შეთანხმებული და ხელშეკრულება მანამ არ გაფორმდა, სანამ „დენვერის“ მაისურა არ მოარგეს ნიუჯერსელ კენიონ მარტინს. მარტინი რომ გუნდში დაიგულეს, დენვერელებმა მეორე დღესვე გაუფორმეს კონტრაქტი კემბის, მის სავარაუდო მეწყვილეს შეტევაში.

„კემბიმ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ჩვენს პლეი ოფში გასვლაში — ამბობს „ნაგიტსის“ პრეზიდენტი კიკი ვანდეევი — აღტაცებულები ვართ, მარტინის გადმოყვანის შემდეგ კემბიც რომ შევინარჩუნეთ, იგი მომავალშიც ძალიან დაგვეხმარება.“

კემბიმ თავი განსაკუთრებით პლეი ოფში ისახელა. ის მეურვეობდა მინესოტელ კევინ გარნეტს და მართალია მისმა გუნდმა საბოლოოდ 2:4 წააგო სერია, კემბის თავი არ შეურცხვენია ლიგის უძვირფასეს მოთამაშესთან. 6 საპლეიოფო მატჩში ის საშუალოდ 13 ქულასა და 11,4 მოხსნას იხვეჭდა.

კემბის „ნაგიტსში“ დარჩენის შემდეგ ამერიკელი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ „დენვერს“ მარტინი — კემბი — ნენე — ენტონის სახით ერთ-ერთი უმძლავრესი წინა ხაზი ეყოლება ლიგაში... ქართველი ნიკოლოზ ცქიტიშვილი კი, ახლა საზაფხულო ლიგებში წელებზე ფეხს რომ იდგამს, არავის ახსოვს.

ირაკლი პერტაია



მარკუს კემბი „დენვერში“ რჩება

ათენში ისევ ლაპარაკობენ

მას შემდეგ, რაც ათენი სამი საათით უელექტროენერგიოდ დარჩა, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ანერვიულებული საზოგადოებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაშოშმინება სცადეს.

საორგანიზციო კომიტეტის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ განმეორებითი ავარიის შემთხვევაში ოლიმპიურ თამაშებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მათ შორის, ტელეტრანსლაციებსაც.

საქმე ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოლიმპიური ბაზა აღჭურვილია სარეზერვო გენერატორებით, რაც საშუალებას იძლევა ელექტროენერგიის ავტონომიური რეჟიმით მისაწოდებლად.

ამას გარდა, 8 აგვისტომდე ათენის სხვადასხვა რაიონები დამატებით ერთიან ქვეელექტროსადგურებში ჩაერთვება.

ალეო და ხვალეო

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ზუსტად ერთი თვით ადრე საბერძნეთის დედაქალაქში გაიხსნა მთავარი ოლიმპიური პრესცენტრი. მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალს დაესწრო ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთაური იანა ანგელოპულოს-დასკალაკი. იგი კიდევ ერთხელ შეეცადა დაერწმუნებინა იქ შეკრებილი საზოგადოება, რომ ოლიმპიური თამაშები სათანადო დონეზე ჩატარდება. „მისი დამთავრების მერე ყველა ბერძენი იამაყებს თამაშების ისტორიაში ყველაზე კარგი ოლიმპიადის გამართვით“ — თქვა იანამ.

ოლიმპიადას გზა გაეხსნა

ათენში საზეიმოდ გაიხსნა ახალი 14 კილომეტრიანი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს დედაქალაქის აეროპორტსა და ნავსადგურ პირეოსს იმგვარად, რომ გზა ქალაქზე არ გადის.

მაგისტრალი გადის ზღვის სანაპიროზე და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ოლიმპიურ სასოლეთამდე და საცხენოსნო სპორტის ბაზებამდე მიდის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი მიემართება ოლიმპიურ კომპლექსს ჰელინიკონთან, საიდაც განლაგებულია კალათბურთელთა, მოფარიკავეთა, სოფტბოლელთა, ბეისბოლისტთა და სანიჩბოსნო სლალომის წარმომადგენელთა ბაზები. მაგისტრალი მიდის აგრეთვე აგიოს კოსმასის რაიონთანაც, სადაც საიალქნო ცენტრია.

საბერძნეთის გარემოს დაცვის მინისტრი გეორგიოს სუფლიასი ნიშნისმოგებით ამბობს, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინათ არავის სჯეროდა, რომ ეს სატრანსპორტო არტერია ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ჩადგებოდა მწყობრში.

გიგანტთა ოთხეული

ეტყობა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე დიდი დელეგაციით წარმოდგენილი იქნება აშშ-ს ნაკრები, რომელიც 500-მდე სპორტსმენით იასპარეზებს.

ათენში სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზე იქნება რუსეთი, რომელიც ამერიკელებს 30-35 სპორტსმენით ჩამორჩება. თუმცა რუსები საერთო ჯამში ათენში 830-კაციანი დელეგციით ჩავლენ.

საინტერესოა, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა საათენოდ ოლიმპიურ ციკლში (2000-2004 წლები) ფედერალური ბიუჯეტიდან 1 მილიარდ 510 მილიონი რუბლი და 525 ათასი დოლარი გამოყვეს.

ათენში რუსებს სპორტსმენთა რაოდენობით მოჰყვებიან ჩინელები, რომლებიც 470 სპორტსმენს წარმოადგენენ. მათ ათიოდე კაცით ჩამორჩებიან გერმანელები.

ჩინეთს ძალა მოაკლდა

არ ვიცით, არსებობს თუ არა სტატისტიკა იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნის რამდენი სპორტსმენი ჩავარდა დოპინგკონტროლზე, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ამ საქმეში რეკორდსმენები ჩინელები უნდა იყვნენ. ისინი ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად ფლავდებიან ამგვარ შემოწმებაზე და სათანადოდაც ისჯებიან.

ამგვარი ბედი კიდევ ერთმა ჩინელმა, ძალოსანმა სიჩუნ შანმა გაიზიარა. სიჩუნ შანი შარშან ვანკუვერში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატია გამარჯვებულია 75 კილოგრამში, მაგრამ იგი დოპინგის გამოყენებაში ამხილეს. ამიტომ ჩინეთის ძალოსანთა ფედერაციამ იგი 2-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ამგვარად, ჩინელი ძალოსანი ათენის ოლიმპიურ თამაშებს გამოტოვებს და ფიცარნაგზე მხოლოდ 2005 წლის ნოემბერში დაბრუნდება. ამასთან, სიჩუნ შანმა ვანკუვერში მოპოვებული ოქროს მედალი უნდა დააბრუნოს, ხოლო იქ მის მიერ დამყარებული სამი მსოფლიოს რეკორდი გაუქმდება.

სიჩუნ შანთან ერთად ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა სიჩუნ შანის მწვრთნელიც.

დევენპორტი ჯერაც დევია სტუმრად ძია არნისთან

BANK OF THE WEST CLASSIC
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

ფინალი

ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) 7:6 (7:4), 5:7, 7:6 (7:4)

ლინდსი დევენპორტი ამბობს, ის ჯიგარი უკვე აღარ მაქვს, რაიც ჩემი 14-წლიანი კარიერის საუკეთესო მონაკვეთებში მქონდაო. ვინაც ამ 28 წლის, კარიერის დასრულებაზე გადაწყვეტილებამიღებული ქალისა და მასზე ოთხი წლით უმცროსი ვინუს უილიამსის იმდღევანდელი ფინალი იხილა, გაკვირვებით იკითხავს, ეს უნდა მიდიოდეს და სხვები რჩებოდნენო.

და მართალიც იქნება, რაკიდა ამ ორსაათიანი და 55-წუთიანი განდაგანისას სამგზის სლემტიტულოსანმა ლინდსიმ კიდევ ერთხელ ცხადყო, მართლაც საუცხოო მეჩოგნე რომ არის.

ეს ვინუსისა და მისი 23-ე დაპირისპირება იყო და, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, ვინძლო — საუკეთესოც. მათი წინა ექვსივე შეხლა სერენას უფროსი დაიკოს გამარჯვებით დასრულებულიყო და ლინდსისთვის ეს დამატებით სტიმულსაც წარმოადგენდა. მართალია, ვინუსი ჯერაც 12:11 უპირატესობს, მაგრამ თუკი ლინდსი ამ სეზონის ბოლოს ჩოგანს დასტურ ჩამოკიდებს, მოსისხლე მეტოქის უკანასკნელი ძლევა გამორჩეული სიამოვნებით გაახსენდება.

სხვათა შორის, სტენფორდულ ფინალში ისინი ერთმანეთს უკვე მეოთხედ ხვდებოდნენ და აქ კი ჯამურ უპირატესობას უკვე ლინდსი ფლობს — იქაურ სატიტულე დავლურში ვინუსი მას 1998-99 წლებშიც დაემარცხებინა. ამგვარად, უფროსი უილიამსდის ძლევით ლინდსი დევენპორტმა სტენფორდული ჰეთთრიქიც მიითვალა.

საერთოდ კი ეს მისი 41-ე საკარიერო და მესამე საამსეზონო ტიტულია. ეგებ თქვენც გახსოვდეთ, წლეულს მან ჰენ ჰასიფიკსა და ამელია აილენდზეც იმარჯვა.

მორიგ ტიტულთან ერთად ლინდსის გამარჯვებულისთვის დათქმული 97 ათასი დოლარიც ერგო და თან იმის შეგნებაც დაუბრუნდა, რომ ამქრის უჩაუქეს წიწკვებთან ჯერაც ტოლსწორად პაექრობა ძალუძს.

MERCEDES-BENZ CUP
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

ფინალი

ტომი ჰაასი (გერმანია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:6 (8:6), 6:4

მხრის ოპერაციის გამო 16 თვის განმავლობაში ნაუქმარი ტომი ჰაასი წლეულს ძალზედ მოკრძალებულ გეგმებს ისახავდა. მას ორი რამ სურდა — ზეასეულში დაბრუნება და რომელიმე ტურნირის მოგება. წელი ჯერ არ გასრულებულა და 26 წლის გერმანელმა, ვინაც 2002 წლის მაისში მსოფლიო რეიტინგსიის მეორე საფეხურზე იდგა, ორივე ამოცანის შესრულება უკვე გადაჭარბებით შეძლო. გადაჭარბებით იმიტომ, რომ ეს მისი უკვე მეორე საამსეზონო (ამერიკული) ტიტულია — პირველი მან ჰიუსტონში, აშშ-ის სათიხნარო პირველობის ფინალში ენდი როდიკის დამარცხებით იშოვა. სულ კი ის თავის ტიტულზარდახშაში უკვე შვიდ ჯილდოს მოიძევს.

სათქმელია ისიც, რომ განუთესავ მეჩოგნეს ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ლოსანჯელესობა მხოლოდ ერთხელ, 1973 წელს მოეგო — ჭაბუკმა ჯიმი კონორსმა მაშინ ტომ ოკერს აჯობა. ხოლო ისეთი რამ, რომ რაგინდარა ტურნირის ბედი შიდაგერმანული ფინალით გადაწყვეტილიყო, ბოლოჯერ 1994 წელს სამხრეთაფრიკულ სან სიტიში მოხდა — იქ ერთმანეთს მარკუს ციოკე და ჰენდრიკ დრიკმანი ედავნენ.

სხვაფრივ — ნატიტულევს ჰაასი კალიფორნიის გუბერნატორ არნოლდ შვარცნეგერთან უნდა სწვეოდა სასადილოდ. მისი უტერმინატორესობა და ჰაასის მამა პეტერი თურმე ერთად სწავლობდნენ რომელიღაც ავსტრიულ სასწავლებელში.

რაც შეეხება ნიკოლას კიფერს, ვინაც 2000 წლის იანვარში რეიტინგსიის მეოთხე ადგილზეც მდგარა, სკოტსდეილობისა და მემფისობის შემდეგ მან წლეულს უკვე მესამე ამერიკული ფინალი დათმო. რაგინდარა ტიტული მას 2000 წლისავე ჰონგკონგობის შემდეგ აღარ მოურეწავს.

MERCEDES CUP
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 615 ათასი €

ფინალი

გილერმო კანიასი (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) 5:7, 6:2, 6:0, 1:6, 6:3

გილერმო კანიასი შტუტგარტულ ფინალში ორჯერ, 2001-02 წლებში დამარცხებულიყო და, ცხადია, ნავსის გასატეხად იმ დღეს გავეშებული იბრძოდა. უკანასკნელი ტიტული მას 2002 წელს ტორონტოულ მასტერსტურნირზე ჰქონდა ნაშოვნი, მაგრამ მოგვიანებით მაჯა დაიშავა და მთელი წინა წელიც სწორედ ამ მაჯაზე გადატანილი ოპერაციების გამო წაემურდლა.

გასტონ გაუდიო კი შტუტგარტს გალაღებული ეწვია — უკანასკნელ 16 მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხებულმა როლანგაროსობაზე კარიერის პირველი სლემტიტული მოინაგრა, ხოლო წინა კვირაში ბასტადურ თიხნარზე ფინალამდე მიატანა და იქ თვისტომ მარიანო საბალეტასთანღა დათმო.

გაუდიოს თვისტომთან არც ამ ჯერზე გაუმართლა — სამსაათიანი და 40-წუთიანი დავლურის გადამწყვეტ სეტში კანიასმა უფრო დამაჯერებლად ითამაშა და კარიერის მეოთხე ტიტულიც გაუსაჩივრებლად ირგუნა.

THE PRIORITY TELECOM OPEN
ამერსფორტი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი €

ფინალი

მარტინ ფერკერკი (4, ჰოლანდია) — ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) 7:6 (7:5), 4:6, 6:4

ვინგინდავინ ჰოლანდიელს ამერსფორტული ტურნირი უკვე 31 წელი იყო, აღარ მოეგო. ამგვარი შინაურული ყაბზობის გატეხვა ჰოტროველა მარტინ ფერკერკმა იკისრა, ვინაც ჩვენი კლავიატურის არეში შარშანდელი როლანგაროსობის ფინალში გასვლის შემდეგ მოექცა. ეს მისი მეორე საკარიერო ტიტული გახლავთ — პირველი მან 2003 წელს მილანურ ჭერქვეშ მოიხვეჭა.

ჰო, მართლა, ის ჰოლანდიელი, ვისაც ამერსფორტში უკანასკნელს ეხეირა, ზემოთ უკვე ნახსენები ტომ ოკერი იყო. უცნაურია და ეს ამბავიც 1973 წელს მოხდა.

ლევან კელაურაძე



ლოს ანჯელესში გამარჯვებულმა ნიკოლას კიფერმა კალიფორნიის გბერნატორ არნის შეუარა, რომელიც თურმე მისი მამის კლასელია

ოქრის ამბავი სლოვენიიდან

16-18 ივლისს სლოვენიის მომცრო ქალაქ მურსკა სობოტაში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ოთხი მედალი მოიმკა და გუნდური ჩემპიონობაც გაინაღდა.

ვლადიმერ ადეიშვილის გუნდიდან ყველაზე შედეგიანად ბათუმელები — მალხაზ სოლომონიძე (50კგ) და ომარ ბაკურიძე (66კგ) გამოვიდნენ — მათ ოქრო არავის დაუთმეს. ფინალი წააგო ოზურგეთელმა ლაშა ლომაძემ (60კგ), კიდევ ერთ ბათუმელს ოთარ ფევაძეს (74კგ) კი ბრინჯაო ერგო.

ქართულ დელეგაციასთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ. სასიხარულო ამბავი თავად შეუტყობინებიათ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაიშვილისთვის, საქართველოში კი ხვალ ბრუნდებიან.

გრიქუროვის შეგირდი დოპინგზე ჩავარდა



შიმონ კოლეცკი

სიდნეის ოლიმპიადის ვიცეჩემპიონი პოლონელი ძალოსანი შიმონ კოლეცკი (94კგ) დოპინგზე ჩავარდა და ათენში წასვლის შანსიც დაკარგა. „მის სისხლში აკრძალული პრეპარატი ნანდროლონი აღმოაჩინეს და ბერძნულ ოცნებებსაც ხაზი თითქმის საბოლოოდ გადაესვა“ — უთხრა ჟურნალისტებს პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციის ჩინოსანმა მარეკ გოლაბმა. მისივე სიტყვებით, კოლეცკის მცირე შანსი მაინც რჩება. დასკვნა 26 ივნისს აღებული ანალიზით გაკეთდა და იქნება განმეორებითმა ანალიზმა, რომელსაც შემდეგ კვირაში აულებენ საჩვენო შედეგი აჩვენოსო.

გუშინ პოლონეთში მომუშავე მწვრთნელ ვანო გრიქუროვს შევეხმიანეთ — კოლეცკი ხომ ერთ-ერთი იმ ძალოსანთაგანი იყო, ვისაც გრიქუროვი პირადად ავარჯიშებდა.

„სიმართლე გითხრათ შიმონს ჯერ საათენო გუნდში მოხვედრაც კი არ ჰონდა გარანტირებული. მან უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და ჩვეულ ფორმამდე ჯერაც ბევრი უკლია. ნანდროლონი კი როგორც ჩანს, რომელიმე იმ წამლის შემადგენლობაში შედიოდა, ტკივილის გასაყუჩებლად რომ სვამდა. ამ ამბავმა აქ ყველას დასწყვიტა გული და პასუხი ექიმებს უნდა მოეკითხოთ.“

ოთარ მაღლაკელიძე

WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მერვე ეტაპი. არგენტინა



REUTERS კორდობადან

მეფე კარლოსი საშვილიშვილოდ გამეფდა?

სეზონის ზუსტად შუაგამყოფი არგენტინული ეტაპი ზეისტორიული გახდა 42 წლის ესპანელ კარლოს საინსისთვის. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა „მატადორმა" 18-წლიან სარალო კარიერაში 26-ე დიდი პრიზი მოიგო და პრესტიჟულობით მეორე მიღწევის (საჩემპიონო ტიტულების შემდეგ) მფლობელიც გახდა.

აქამდე, რალის ჩემპიონატების 25-წლიან ისტორიაში, ოცზე მეტი ეტაპის მოგება მხოლოდ ოთხ პილოტს მოეხერხებინა — ოთხგზის ჩემპიონ ფინელებს, იუჰა კანკუნენს (23) და ტომი მაკინენს (24), ერთგზისას შოტლანდიელ კოლინ მაკრეის და კარლოს საინსს (25-25).

მადრიდელი „მატადორი" შოტლანდიელს შარშან მარტში თურქეთის გზებზე გამარჯვებით წამოეწია, თუმც მას შემდეგ თითქმის წელიწადნახევარი უხეიროდ იჯირითა და ახლაღა შეძლო მორიგი დიდი პრიზის (მესამედ არგენტინაში) დასაკუთრება.

ამრიგად, მსოფლიოს რიგით 26-ე ჩემპიონატში ეპოქალური, 26-მოგებიანი რეკორდი დამყარდა. ვერ ვიტყვით, მოუხსნელიო, თუმც ნამდვილად ხანგრძლივვადიანი. „მეფე კარლოსი" ერთ-ორ სეზონში დაასრულებს სამძღოლო კარიერას, მისი მიღწევა კი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, დიდხანს დარჩება დაუმხობელი. საინსის უახლოეს მდევარს, 35 წლის ფინელ ასევე ორგზის ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმს, რომელიც ასევე მალე აპირებს პენსიაზე გასვლას, სადღეისოდ მხოლოდ 15 დიდი პრიზი აქვს კოლექციაში.

არგენტინის რალი ერთ-ერთი ურთულესია 16-ეტაპა ჩემპიონატში, ეკიპაჟებს კორდობას მახლობლად ლამის 2000 მეტრ სიმაღლეზე მოუხდათ მიწიან, მტვრიან გზებზე ჯახირი. ამიტომაც იყო, რომ ბევრმა ფინიშამდე ვერ მიაღწია, მათ შორის ფავორიტებმაც.

თავიდან ამჟამინდელი ჩემპიონი პეტერ სოლბერგი იყო წინ, მაგრამ მორიგ მოზრდილ გუბეში ისე ჩასცხო „სუბარუს" ცხვირი, რომ მთელი წინა მხარე დაუზიანდა და ბრძოლას გამოეთიშა.

უმძიმესი ავარია შეემთხვა მარკო მარტინს — პატარა ტრამპლინის წინ ქვაზე შემხტარი მისი „ფორდი" ცუდად დაეშვა, რამდენჯერმე იყირავა და გასაკვირად, ჯართად ქცეული მანქანიდან ესტონელი პილოტი და მისი ინგლისელი შტურმანი მაიკლ პარკი დაუხმარებლად ამოვიდნენ, თუმც ორივენი მაშინვე ვერტმფრენით კორდობის კლინიკაში გააქანეს. ექიმებმა, საშიში არაფერიაო, მიუხედავად იმისა, რომ მარტინი დაჟეჟილობას და მხედველობას დაქვეითებას უჩიოდა.

მეორე დღეს მწყობრიდან გამოვიდა კიდევ ერთი ლიდერი. მანამდე უნაკლოდ მოასპარეზე გრონჰოლმი არც თუ რთულ მოსახვევში შესვლისას შეცდა და „პეჟოს" წინა მარჯვენა ბორბალი მოემტვრა. ნირწამხდარმა ორგზის ჩემპიონმა ხელი ჩაიქნია, ამ ავარიით ჩემთვის მარტო არგენტინის რალი კი არა, მთელი სეზონი დამთავრდა, უკვე იმდენი ქულა მაქვს დაკარგულიო.

ამის შემდეგ მეწინავეობა საინსს ერგო, თანასიტროენელ სებასტიენ ლოებთან კომფორტული, წუთნახევრიანი უპირატესობით, და თუ თავად „მატადორი" არ შეცდებოდა, ანდა ბედაური არ უმტყუნებდა, ამხელა სხვაობის გაფლანგვა წარმოუდგენელი იყო.

ასეც მოხდა, თანაც მაინცდამაინც არც ლოებს მოუკლავს თავი ლიდერობის ჩამოსართმევად და სამეორეადგილო რვა ქულითაც სავსებით კმაყოფილი ჩანდა, რადგან საერთო ჩათვლაში სოლბერგთან უპირატესობა თითქმის გააორმაგა და უფრო დაუახლოვდა თავის პირველ საჩემპიონო ტრიუმფს.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	4სთ;23.11,0
2	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 1.32,5
3	ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი)	4.23,5
4	მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ)	8.27,7
5	ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო)	9.59,9
6	ლუის კომპანს-პერესი (არგენტინა, პეჟო)	16.24,7
7	ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი)	17.39,0
8	გაბრიელ პოცო (არგენტინა, სუბარუ)	20.38,6

საერთო ჩათვლა

1 სებასტიენ ლოები 61 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 44; 3 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 34; 4 კარლოს საინსი 34; 5 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 32; 6 ფრანსუა დიუვალი 29; 7 მიკო ჰირვონენი 18; 8 ჰარი როვანპერა 14; 9 იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) 12; 10 დანიელ კარლსონი (შვედეთი, პეჟო) 6

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 98 ქულა, ფორდი 71, სუბარუ 64, პეჟო 51, მიცუბისი 14

REUTERS კორდობადან

მარკო მარტინის „ფორდი" საშინელი შესახედი იყო

მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვე ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბოხენშტაინიდან

ბიაჯი როსის ბორბალზე დააჯდა

ვალენტინო როსი აღარაა ერთადერთი და განუმეორებელი მოტოსამყაროში. მოტო გრან პრის წლევანდელმა სეზონმა მას ლამის ყველა რბოლაში გამოცდა მოუწყო და არაერთხელ დატოვა პოდიუმის გარეშე. საერთო ჩათვლაში პირველობას კი ინარჩუნებს, მაგრამ სხვები უკანა ბორბალზე აზიან. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და სეზონი საინტერესო გამოვიდა.

გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისას როსი, როგორც ყოველთვის, მაყურებელთა მზერის ფოკუსში იყო, თუმცაღ პირველობისთვის დავაში მან ვერ აჯობა თანამემამულე მაქს ბიაჯის და შემდეგ ისე გამოვიდა, საკვარცხლბეკო სამეულშიც ვერ მოხვდა.

ეს რბოლა თავიდან ბოლომდე ბიაჯისა გამოდგა. „ჰონდას" იტალიელმა მხედარმა წინა დღეს კვალიფიკაციაც მოიგო, თანაც ტრასის რეკორდით და მშვენივრად დაწყებული საქმე ასეც გაასრულა. საერთო ჩათვლაშიც ერთ ქულამდე წამოეწია ვალენტინოს.

არ გაუმართლა კიდევ ერთ ფავორიტს, ესპანელ სეტე გიბერნოს. მან რბოლა ვერ დაასრულა, თავისთავად უქულოდ დარჩა და საერთო ჩათვლაშიც მეორე საფეხური დღის გმირს დაუთმო.

გერმანიის დიდი პრიზი. ზაქსენრინგი — 3671 მ

მოტო გრან პრი

1 მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა)	42 წთ; 23,3
2 ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა)	ჩამორჩა 0,3
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, ჰონდა)	4,3
4 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა)	4,5

საერთო ჩათვლა

1 როსი 139 ქულა; 2 ბიაჯი 138; 3 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ჰონდა) 126; 4 ბარუში 79; 5 კოლინ ედვარდსი (აშშ, ჰონდა) 75

250 სმ³

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა)	41 წთ; 37,2
2 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია)	4,3
3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია)	16,4

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 155 ქულა; 2 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) 130; 3 პორტო 108; 4 ანტონიო ელიასი (ესპანეთი, ჰონდა) 86; 5 ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) 83

125 სმ³

1 რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია)	40 წთ; 03,5
2 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, აპრილია)	0,2
3 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია)	0,7

საერთო ჩათვლა

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა) 138 ქულა; 2 ლოკატელი 131; 3 ბარბერა 129; 4 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 104; 5 ნიეტო 88



REUTERS საუთ ლეიკ ტაჰოდან

იჯვუდის მინდორზე

ნევადაში, იჯვუდ ტაჰოს გოლფ-კლუბში გაბურებულა „ამერიკის საუკუნის ჩემპიონატი“, რომელშიაც სპორტისა და გართობის გამოჩენილი ვინმეებიც მონაწილეობენ. თქვენ კი, რა თქმა უნდა, იცანით კალათბურთის მეფე მაიკლ ჯორდანი, რომელიც ერთი ხანობა ცდილობდა, რომ პროფესიონალი მეგოლფე გამხდარიყო.

ბრაზილია დაფრინავს

ასე ხარობენ ბრაზილიელი ფრენბურთელი გოგონები, რომლებმაც ეს წუთია, საბოლოოდ დაძლიეს სამხრეთ კორეელთა წინააღმდეგობა. ბრაზილიელებმა ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მსოფლიოს ქალთა დიდი პრიზი მოიგეს.



REUTERS მანილადან

REUTERS კამბოს დიის გოლფ-კლუბიდან

სამასსოვრო ბადე

აჰა, არცთუ ძნელად, არგენტინამ დაძლია ბრაზილიელთა წინააღმდეგობა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონიც შეიქნა კალათბურთში. ცხადია, ვალტერ ერშანი ბადეს ჭრის ფარიდან, დიეგო პრეგო კი ქვემოდან შეპხარის.



REUTERS სეულიდან

მანდ რა გინდოდა?

სუმოს დიდი იოკუძუნა აკებონო წმინდა ჭიდაობიდან წასვლის შემდეგ სულ სხვა სპორტში, იაპონიაში პოპულარულ ქეი-ვანში (K-1) გადაბარგებულა და გვარიანადაც გალახულა ჩინელი ჟანგ ქინგ ჟუნისგან. ქეი-ვანი პირველად ჩატარებულა სეულში და დიდი ინტერესიც გამოუწვევია. ამ საბრძოლო სახეობაში ძირითადად კარატეს, კუნგფუსა და კიკბოქსინგის ხერხებს იყენებენ.

REUTERS საკრამენტოდან

გაუტყდა

საკრამენტოში გრძელდება ამერიკის მძლეოსანთა საბოლოო შესარჩევი გამოცდები ათენის ოლიმპიადისთვის. ჭოკით მხტომელი მერი კელი სატლს ფარსაგი საქმე შეხვდა: ჭოკი ვერაგულად გაუტყდა. თუმცა, სპორტსმენი არ დაშავებულა, ახალი ჭოკი აიღო და ის სანუკვარი 4,30 მეტრიც დასძლია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge